პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 179 (9955) | პარასკევი, 30 ივლისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ საზოგადოებრივი კვება

სოციალისტური მშენებლობის წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სასადილოების, რესტორანების, საჩაიეების, სასაუზმეების, კაფეების ფართო ქსელი. ისინი ყოველდღიურად უწევენ მომსახურებას მილიონობით ადამიანს. საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა იმ ღონისძიებათა სისტემაში, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და ყოფაცხოვრების განუხრელი გაუმჯობესებისათვის.

შეიძლება დავასახელოთ საზოგადოებრივი კვების ბევრი საწარმო, რომლებიც წარმატებით ასრულებენ თავიანთ ძირითად ამოცანას — მიაცენ მშრომელებს საღი, გემრიელი და სხვადასხვანაირი კერძები, უკეთ დაკმაყოფილონ მათი განუწყვეტელივ მზარდი მოთხოვნილებანი. ამასთან უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი სასადილოს, რესტორანის, საჩაიეს, სასაუზმისა და კაფეს მუშაობის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ახლა საბჭოთა მომხმარებელი აყენებს. საზოგადოებრივი კვების საქმის ძირეული გაუმჯობესების დარგში პარტია და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებებს სავაჭრო ორგანიზაციები ნელა ახორციელებენ.

ცნობილია, რომ მთელ რიგ ქალაქებსა და მუშათა დაბებში ცოტაა საზოგადოებრივი კვების საწარმოები. მიუხედავად ამისა, ბევრ რესპუბლიკაში მათი ქსელის გაფართოება არადამაკმაყოფილებელი ტემპით წარმოებს, განსაკუთრებით ბელორუსიის, უზბეკეთის, საქართველოს და ესტონეთის რესპუბლიკებში. სრულიად შეუწყნარებელია, რომ ყაზახეთში, აგრეთვე ცომბირის ზოგიერთ ოლქში ძალიან ჩამორჩება საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მშენებლობა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში.

ასობით ახალი სასადილოს, რესტორანის, საჩაიეს, სასაუზმის გახსნა შეიძლება იმ შენობებში, რომლებიც წინათ საზოგადოებრივი კვების საწარმოებს ეკავათ და ახლა დანიშნულებისამებრ არ არის გამოყენებული. მაგრამ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები ხშირად ცუდად ზრუნავენ ამისათვის. სსრ კავშირის მინისტროთა საბჭოს და საბჭოთა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1954 წლის 1 მაისამდე ყველა ასეთი შენობის განთავისუფლებისა და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის გადაცემის შესახებ დღემდე შესრულებული არ არის: 1 ივნისისათვის განთავისუფლებული იქნა მხოლოდ მეხუთედი, რომლებიც სასადილოებსა და რესტორანებს ეკუთვნოდათ ქალაქებსა და მუშათა დაბებში.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, ცენტროსოიუზისა და სხვა ადგილობრივი ორგანოების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა რაც შეიძლება მალე აღმოფხვრან საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის განვითარების ჩამორჩენა, უზრუნველყონ მისი სწორად განლაგება. საჭიროა ყველგან დაამბრუნონ შენობები, რომლებშიც წინათ სასადილოები, რესტორანები და კაფეები იყო მოთავსებული, მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის.

ფაქტები მოწმობენ, რომ საზოგადოებრივი კვების საწარმოებში საჭმლის ხარისხი დაბალია. კერძების ასორტიმენტი ერთფეროვანია, არ არის ელემენტარული კულტურა. მთელი რიგი სასადილოების შენობები თავმინებებულია, სანიტარულ წესებს ხანდახან უხეშად არღვევენ, ზოგჯერ საკმაო რაოდენობით არ არის დანაჩნგალი, ჩაის კოვზები. ასეთი მდგომარეობა მით უმეტეს შეუწყნარებელია, რომ სავაჭრო ორგანიზაციებს საკმაო სახსრები და მასალები ეძლევათ სასადილოების შესაკეთებლად და ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად.

განა დაკმაყოფილებს მომხმარებლებს ნოვოჩერკასკის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არსებული სასადილო? აქ უგემურ სადილებს ამზადებენ და მომხმარებელს ხშირად ცივს აწვდიან, ჭურჭელი არ ჰყოფნით, დარბაზებში სათანადო სისუფთავე არ არის; რომ ისადილონ, მომხმარებლები იძულებული არიან ბევრი დრო დაკარგონ. მომხმარებელთა საჩივრებს ადმინისტრაცია უყურადღებოდ ტოვებს.

როგორც ამას წინათ მოწყობილმა შემოწმებამ ცხადყო, საზოგადოებრივი კვება დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული სამომხმარებლო კოოპერაციის ბევრ ორგანიზაციაში. სარატოვის ოლქის ვოროშილოვსკოეს რაიონული სამომხმარებლო კავშირის სასადილოში კერძების რაოდენობა ერთი-ორი თავით ანოიწურება. შენობა სასწრაფო შეკეთებას მოითხოვს, სანიტარულ წესებს არ იცავენ. ასეთივე მდგომარეობაა ორიოლის, კალუგის, ივანოვოს და ზოგიერთი სხვა ოლქის მთელ რიგ სასოფლო სასადილოებსა და საჩაიეებში.

სავსებით ცხადია, რომ სასადილოები და რესტორანები მოწოდებული არიან ივაჭრონ უწინარეს ყოვლისა საკუთარი წარმოების სხვადასხვა ცხელი კერძითა და ცივი საუზმით. მაგრამ საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებისა და საწარმოების ბევრი ხელმძღვანელი ძალლონეს ახმარს არა თავისი სამზარეულოს პროდუქციის გადიდებას, არამედ სხვადასხვა მზა სასურსათო ნაქონლით ვაჭრობას ბუფეტებში, კიოსკებსა და ფარდულებში. თუ 1940 წელს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საკუთარი პროდუქცია 56 პროცენტს შეადგენდა მათს ხაერთო ბრუნვაში, შარშან საკუთარი პროდუქციის წილი შეადგენდა მხოლოდ 26 პროცენტს. რაიმე არსებითი ცვლილება არც მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მომხდარა. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა სამომხმარებლო კოოპერაციის საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, სადაც სამზარეულოს პროდუქციის ხვედრითი წონა შემცირებას საერთო ბრუნვაში და ორიენტაციას აძლევს სასადილოებსა და საჩაიეებს გაეიდონ უმთავრესად ნაყიდი სამრეწველო წარმოების საქონელი. განა ცხადი არ არის, რომ ასეთი პრაქტიკა ამახინჯებს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ამოცანებს და ეწინააღმდეგება მომხმარებელთა ინტერესებს?

სასადილოებში, საჩაიეებში, კაფეებსა და სასაუზმეებში მშრომელთა არადამაკმაყოფილებელი მომსახურება უმთავრესად იმის შედეგია, რომ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სახალხო კვების მთავარი სამმართველო (უფროსი ამხ. მოსინი), ცენტროსოიუზის საზოგადოებრივი კვების სამმართველო, აგრეთვე ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციებისა და სამომხმარებლო კავშირების ხელმძღვანელები ყოველდღიურად არ უწევენ კონტროლს საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობას, არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მთავარი, რაც ახლა უნდა გააკეთონ საზოგადოებრივი კვების მუშაკებმა, ის არის, რომ გამოუშვან უფრო მეტი სხვადასხვა სახის პროდუქცია, ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესონ მისი ხარისხი, აამაღლონ მომსახურების კულტურა. კერძების მომზადების მაღალი ხარისხი, მისი მრავალფეროვანება, მიმზიდველი სახე უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მზარეულზე — საზოგადოებრივი კვების წამყვან ფიგურაზე. საჭიროა ფართოდ გავავრცელოთ საუკეთესო მზარეულების — თავისი საქმის ოსტატების გამოცდილება, ჩავაბათ ისინი კულინართა ახალი კადრების სწავლებაში.

მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევის ყველაზე მოხერხებული ფორმაა სადილებისა და კულინარიის სხვა ნაწარმის შინ წასაღებად გაცემა. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ცოტა კეთდება. სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს საზოგადოებრივი კვების მთავარ სამმართველოს მიმდინარე წელს ათასზე მეტი სპეციალური სამზარეულო უნდა მოეწყო სადილების შინ გასაცემად, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი არ არის მოწყობილი. ასეთივე მდგომარეობაა ისეთი სასადილოების მოწყობის დარგში, რომლებიც მახობრივად დაამზადებენ და მოსახლეობას მიჰყიდიან კულინარიის ხორცეულ და თევზეულ ნაწარმს.

კერძების მომზადების ყველა შრომატევადი პროცესის მექანიზაცია საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. ახლა ბევრი სასადილო და რესტორანი უაღრესად ცუდად არის აღჭურვილი მექანიკური მოწყობილობით — კარტოფილის გასათლელი, ხორცის საკეპი, ჭურჭელსარეცხი და სხვა მანქანებით. მეტი წილი შრომატევადი სამუშაოები ხელით სრულდება. საჭიროა სასადილოებისა და რესტორანებისათვის მკვეთრად გადიდდეს მანქანებისა და მოწყობილობის წარმოება როგორც სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ქარხნებში, ისე მანქანათმშენებლობისა და მრეწველობის სხვა დარგების საწარმოებში.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. პროფკავშირული ორგანიზაციები ყოველდღიურად უნდა ახორციელებდნენ მასობრივ კონტროლს სასადილოების, სასაუზმეების, ბუფეტების მუშაობისადმი და ამას უნდა ერთვოდეს ქმედითი ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები დაუცხრომლად უნდა ზრდიდნენ საზოგადოებრივი კვების მუშაკთა კადრებს თავიანთი თავისადმი მკაცრი მომთხოვნელობის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის, მინდობილი საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. ნაკლოვანებებთან ბრძოლისა და საერთო აღმავლობის უზრუნველყოფის ნაყადი საშუალებაა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღება.

საზოგადოებრივი კვების მუშაკთა მრავალათასიანი კოლექტივის მოვალეობაა მთელი ძალღონე მოახმარონ საბჭოთა ვაჭრობის ამ მნიშვნელოვანი დარგის რაც შეიძლება მალე აღმავლობას, საბჭოთა ადამიანების მომსახურების ძირეულ გაუმჯობესებას.

„პრავდის“ 29/VII მოწინავე.

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ჯოუ ენ-ლაი

28 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი.

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ფამ ვან დონგი

28 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ფამ ვან დონგი.

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი ჯოუ ენ-ლაისთან

29 ივლისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბარს დაესწრნენ ვან ძია-სიანი და ჯან ვენ-ტიანი.

ჯოუ ენ-ლაი ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს

29 ივლისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს.

საუბარს დაესწრო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯან ვენ-ტიანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა მიიღო ჯოუ ენ-ლაი

29 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბარს დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ჯან ვენ-ტიანი და ვან ძია-სიანი.

მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი

28 ივლისს მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი. მასთან ერთად ჩამოვიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ჯან ვენ-ტიანი, ვან ზინ-ნანი, ჩენ ძიაკანი, ში ჯე და სხვები.

აეროდრომზე ჯოუ ენ-ლაისა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. ფ. იუდინი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ი. ფ. კურდიუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ა. ნ. კაპუსტინი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტის მოვალეობის შემსრულებელი პოლკოვნიკი ვ. ნ. კოვალიოვი და სხვ.

აეროდრომზე ჯოუ ენ-ლაისა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ აგრეთვე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ფამ ვან დონგი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვან ძია-სიანი, რომლებიც მოსკოვში იმყოფებიან.

დელეგაციის შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს დიპლომატიურმა შემადგენლობამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებულის ვენ ნინის მეთაურობით, შვეიცარიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რ. სულმანმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ა. სკლადანმა, ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მონგ ონმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ნგუენ ლონგ ბანგმა, ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კ. პ. შ. მენონმა, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ი. ვოშაგლიკმა, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა შ. პრიფტიმ, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კ. ტ. ლუკანოვმა, ინდონეზიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სუბანდრიომ, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ი. რაბმა, დანიის საგანგებო დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა ხ. ხერგელმა, შვეიცარიის საგანგებო-დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა ე. დე ჰალერმა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა პაკ დოკ ხვანმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ა. მალეცკიმ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა კ. ზეიცმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ლ. ტოიბომ, აგრეთვე აღნიშნული ქვეყნების საელჩოებისა და მისიების წევრებმა. (საკდესი).

ვ. მ. მოლოტოვმა დარბაზობა გამართა მოსკოვში ჯოუ ენ-ლაისა და ფამ ვან დონგის ყოფნის გამო

მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მოწვევით იმყოფებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური პრემიერ-მინისტრის მოადგილე ფამ ვან დონგი, რომლებიც საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირში მონაწილეობდნენ.

მათ პატივსაცემად 28 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა დარბაზობა გამართა.

დარბაზობაზე იყვნენ: კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. მალიშევი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის მინისტრები გ. თ. ალექსანდროვი, ს. ფ. ანტონოვი, პ. ი. ანტროპოვი, ი. ა. ბენედიქტოვი, ბ. პ. ბეშჩევი, ფ. დ. ვარაქსინი, პ. ვ. დემენტიევი, ვ. პ. ელიუტინი, ა. ფ. ზასიადკო, ა. გ. ზვერევი, ვ. პ. ზოტოვი, ნ. ს. კაზაკოვი, ა. ი. კოზლოვი, ა. ი. კოსტოუსოვი, ს. ნ. კრუგლოვი, ი. ა. ლიხაჩოვი, პ. ფ. ლომაკო, გ. მ. ორლოვი, ა. ს. პავლენკო, პ. ი. პარშინი, ნ. დ. პსურცევი, დ. ი. რაიზერი, ნ. ს. რიჟოვი, ი. ტ. სკადანენკო, ს. ა. სტეპანოვი, ს. მ. ტიხომიროვი, ზ. ა. შაშკოვი, პ. ა. იუდინი, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარე ვ. ფ. პოპოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. ა. ვოლინი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე კ. მ. სოკოლოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, ფლოტის ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ა. სეროვი, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი დ. ტ. შეპილოვი, გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი კ. ა. გუბინი, მოსკოვის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. ფ. იუდინი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ს. ა. ბორასოვი, ვ. ა. ზორინი, კ. ი. კოვალი, მ. რ. კუზმინი, ნ. ე. ტვერდოხლებოვი, ი. გ. ბოლშაკოვი, ვ. ვ. მაცკევიჩი, ნ. ა. გუნდობინი, ა. ი. შახურინი, კ. ა. ვეინოვი, ვ. ნ. სტოლეტოვი, გ. ს. ხლომოვი, კ. ი. სერგეიჩუკი, გ. ა. კარავაევი, ს. ა. სკაჩკოვი, ს. ვ. კაფტანოვი, ვ. ტ. ფედოროვი, ნ. ნ. მიროტვორცევი, ნ. პ. ოხლოპკოვი, ი. ა. სტრიგინი, ა. პ. ეფიმოვი, ი. ს. ვოლჩენკო, ა. ვ. დომრაჩევი, ვ. ა. ნიკიფოროვი, ა. მ. რედკინი, მ. ნ. სუზორუჩენკო, ე. ფ. კოჟევნიკოვი, ა. ს. პაველიევი, პ. ი. კუდრიავცევი, რუსეთის სფსრ განათლების მინისტრი ი. ა. კაროვი, ავიაციის მარშალი ს. ფ. ჟავორონკოვი, არმიის გენერლები ა. ი. ანტონოვი, ვ. ვ. კურასოვი, მ. ს. მალინინი და გ. კ. მალანდინი, ადმირალები ნ. ე. ბასისტი და ვ. ა. ფოკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

სტუმრებს შორის იყვნენ აგრეთვე საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები: შვეიცარიისა — რ. რ. სულმანი, ირანისა — ნ. არასტე, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — ა. სკლადანი, ბირმის კავშირისა — მ. ონი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა — ჯან ვენ-ტიანი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ნგუენ ლონგ ბანგი, ინდოეთის რესპუბლიკისა — კ. პ. შ. მენონი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა — ი. ვოშაგლიკი, არგენტინისა — ლ. ბრავო, ავსტრიისა — ნ. ბიშოფი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა — მ. პრიფტი, დიდი ბრიტანეთისა — უ. ჰეიტერი, საბერძნეთისა — ა. დ. კონტუმასი, მექსიკისა — ა. რ. დიასი, ავღანეთისა — გ. ი. ტარზი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — კ. ტ. ლუკანოვი, ინდონეზიის რესპუბლიკისა — სუბანდრიო, კანადისა — ჯ. ბ. კ. უოტკინსი, ეგვიპტისა — ა. ელ მასრი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — ი. რაბი; საგანგებო დესპანები და სრულუფლებიანი მინისტრები: დანიისა — ხ. ხერგელი, ტაილანდისა — შ. სრესტაპუტრა, შვეიცარიისა — ე. დე ჰალერი, ისლანდიისა — პ. ტორსტეინსონი, სირიისა — ფ. ხანი; საქმეთა დროებითი რწმუნებულნი: ერაყისა — ო. ელ აანი, თურქეთისა — დ. ტუნალიგილი, ფინეთისა — რ. ენკელი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — კ. ზეიცი, ისრაელის სახელმწიფოსი — ე. ლ. გიდეონი, ნიდერლანდისა — მ. ზ. ნ. ვატეველი, ნორვეგიისა — ს. ეკელანდი, საფრანგეთისა — ჟ. ლე რუა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — ლ. ტოიბო, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — პაკ დოკ ხვანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — ა. მალეცკი, ეთიოპიისა — ფ. შიფერაუ, პაკისტანისა — მაჰმუდ აჰმადი.

დარბაზობაზე აგრეთვე იყვნენ წევრები ჩინეთისა და ვიეტნამის დელეგაციებისა ჟენევის თათბირზე, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი მ. პოპესკუ, ფინეთის სეიმის დელეგაციის წევრები.

დარბაზობამ განსაკუთრებული გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

მეგობროებისადმი მიძღვნილი პიონერთა რესპუბლიკური შეკრება

მზის სხივები ნარინჯისფრად მოეფინა მიდამოს. ჩიტების ჟრიამულით ახმიანებულ ხეივნებში შემოვიდა ასობით პიონერი და საზეიმოდ მორთულ მოედანს მიაშურა. მოდიან ქართველი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ბელორუსი ბავშვები. მოდიან მწყობრი პიონერული ნაბიჯით და მოაქვთ სიცოცხლისა და სიხარულის სურნელება. თვალები უცემციმებთ, პირზე ღიმილი დასთამაშებთ, ელვარებენ წითელი ყელსახვევები. რა ჰქვია ამას, თუ არა აღტაცება ან ამღერებული სალამაზე?

საქართველოს პიონერებს თავი მოუყრიათ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში შეკრებაზე, რომელიც მეგობრობის, საბჭოთა სამშობლოსა და კომუნისტური პარტიისადმი დიდი სიყვარულის გამოხატულებაა.

ლამაზ ოთხკუთხედად დგება პიონერული ხაზი. საქართველოს ყველა რაიონიდან ჩამოსული თვითეული პიონერი უპატაკებს შეკრების მორიგეს.

პიონერებს მიესალმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ვასაძე.

გუგუნებს საბჭოთა კავშირის ჰიმნი. ოთხმა პიონერმა ამაყად აღმართა შეკრების წითელი ალამი. პიონერებს შემოაქვთ დროშები პიონერთა რესპუბლიკური შეკრებისადმი მიძღვნილი ესტაფეტისა, რომელიც ერთი თვის წინ დაიწყო. ესტაფეტის მონაწილეებმა, სანამ აქ მოვიდოდნენ, შემოიარეს 14 ქალაქი და 40 რაიონი.

პიონერული საყვირის ხმა შეკრების მონაწილეებს საზაფხულო თეატრში უხმობს. პროექტორებით გაჩირაღდნებულ დარბაზში გაისმის პიონერული სიმღერები.

პიონერული შეკრება მიჰყავს ქუთაისის პირველი სკოლის მოსწავლეს ბრეგვაძეს. ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან, და საქართველოს პიონერთა რესპუბლიკურ შეკრებას მიესალმებიან რუსი, ქართველი, სომეხი პიონერები.

— ვისწავლით ისე, როგორც გვიანდერძა დიდმა ლენინმა, — ამბობს კრასნოდონელი აბრამენკო. — ვიქნებით ისეთები, როგორც ძია სტალინს უნდოდა, — ფიცს სდებს გორელი დევიძე. სცენის სიღრმიდან გაისმის სტალინგრადელი პიონერის მირონოვას მოწოდება: — ვგავდეთ ზოიას გმირობით, ოლეგს! გამბედაობით.

პიონერი მოლოკოვა გულთბილად გადასცემს საჩუქარს გორელ პიონერებს.

— ეს საჩუქარი ტუშინოელმა ამხანაგებმა გამომატანეს თქვენთან, რომელთა სამშობლოში დაიბადა და გაიზარდა ძია სტალინი, — ამბობს იგი.

— დიდი პიონერული მადლობა კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას ჩვენი ასეთი ლაღი და სასიხარულო ბავშვობისათვის, — ამბობს მინსკის მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლე შუტოვი.

სცენა უამრავი საჩუქრებით, თაიგულებით ივსება. მაგიდაზე დგას ულიანა გრომოვას პორტრეტი, რომელიც ქართველ პიონერებს საჩუქრად ჩამოუტანეს კრასნოდონელმა პიონერებმა.

გულთბილი სიტყვებით მიესალმნენ შეკრებას საქართველოს სსრ განათლების მინისტროს მოადგილე ამხ. მ. ბურჭულაძე და უფროს პიონერხელმძღვანელთა რესპუბლიკური სკოლის მსმენელი ნ. ცხადიაშვილი.

* * *

კვლავ გაისმის სიხარულისა და მეგობრობის სიმღერები. პიონერები ახლა სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს მოეფინენ. ბავშვები ერთმანეთს ეჯიბრებიან გამძლეობასა და სიმარჯვეში, სპორტულ გაწვრთნილობაში, მღერიან, ცეკვავენ.

დაღამდა. მზის ბრწყინვალება ელექტროშუქმა შეცვალა. აგიზგიზდა მეგობრობის პიონერული კოცონი დიდი სტალინის ძეგლთან, და პატარების გულშიც აინთო გულწრფელი სიხარულისა და მეგობრობის წმინდა გრძნობა.



სურათებზე: 1 შეკრების მონაწილენი, (მარცხნიდან) სხედან — ლ. კოსმოდემიანსკი (კრასნოდონი), ლ. ახლამაზოვა (სიღნაღი), გ. შუტოვი (მინსკი), ა. ბოგდანოვა (სტალინგრადი); დგანან — ხ. ბარიშნიკოვი (ტუშინო), ლ. მაზინი (ბაკო), გ. ცაგარეიშვილი (თბილისი); 2. პიონერები ბაზზე; 3. ალმის აღმართვა.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ვ. მ. მოლოტოვმა დარბაზობა გამართა მოსკოვში ჯოუ ენ-ლაისა და ფამ ვან დონგის ყოფნის გამო

მოსკოვში ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი

საქართველოს კ. პ. ცენტრალურ კომიტეტში

კასპისა და ზესტაფონის რაიონებში კედლის გაზეთების მუშაობის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა კასპისა და ზესტაფონის რაიონების ძირეული პრესის მუშაობის საკითხი.

საქართველოს კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა სრულიად არადამაკმაყოფილებლად ცნო ამ რაიონებში კედლის გაზეთების მუშაობა. პარტიის კასპისა და ზესტაფონის რაიკომები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯეროვნად ვერ აფასებენ კედლის გაზეთების როლს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად მშრომელთა ფართო მასების მობილიზაციის საქმეში. ამის შედეგად ძირეული პრესის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში ეს მუშაობა ჩაშლილია.

კასპისა და ზესტაფონის რაიონების ბევრ კოლმეურნეობაში კედლის გაზეთების გამოშვებას მხოლოდ საზეიმო თარიღებს უფარდებენ. მაგალითად, კასპის რაიონის სოფელ ოკამის ძერჟინსკის სახელობის, სოფელ საქადაგანოს ფრუნზეს სახელობის, სოფელ თეზის ტელმანის სახელობისა და სოფელ იგოეთის ენგელსის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელებში გასული წლის ივნისიდან გამოშვებულია კედლის გაზეთების მხოლოდ თითო ნომერი, ხოლო სოფლების კავთისხევის, ზენადრისისა და ჩაჩუბეთის კოლმეურნეობებში კედლის გაზეთებს არ უშვებენ.

კედლის გაზეთებს ნაკლებშინაარსიანი წერილებით ავსებენ, ცუდად აფორმებენ. კედლის გაზეთები არაკონკრეტულად აშუქებენ სოციალისტური შეჯიბრების, შრომის დისციპლინისა და სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებს, არ ეწევიან ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების პოპულარიზაციას.

კედლის გაზეთები სუსტად აჩაღებენ საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკას, არ რაზმავენ საზოგადოებრივ აზრს ზარმაცების, სოციალისტური საკუთრების მტაცებლების, საკოლმეურნეო შრომის დეზორგანიზატორების წინააღმდეგ საბრძოლველად.

კასპის რაიონის სოფელ დოესის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში დაბალია შრომის დისციპლინა. კოლმეურნეობა ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში. აქ 618 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან მიმდინარე წელს საკოლმეურნეო წარმოებაში მონაწილეობას არ იღებს 126 კაცი. კოლმეურნეობის კედლის გაზეთი კი ამ ფაქტებს არ ეხმაურება. შ. ზუბიაშვილი, რომელიც კედლის გაზეთის რედაქტორად ითვლება, წლის დასაწყისიდან არ მუშაობს კოლმეურნეობაში.

ბევრი კედლის გაზეთის დაბალი დონე, როგორც აღნიშნულია საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, იმით აიხსნება, რომ ამ გაზეთების სარედაქციო კოლეგიები სუსტად მუშაობენ ავტორთა — მუშა-სოფლკორთა ფართო აქტივის მოსაზიდავად. მაგალითად, კედლის გაზეთ „კოლმეურნის ხმის“ (ზესტაფონის რაიონის სოფელ ტაბაკინის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობა) უკანასკნელ ოთხ ნომერში მოთავსებული 16 წერილიდან 13 დაწერილია პარტორგანიზაციის მდივნისა და რედაქტორის მიერ. მეტი წილი სარედაქციო კოლეგიები მუშაობენ უგეგმოდ, კოლეგიების წევრებს შორის მოვალეობა განაწილებული არ არის.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან სარედაქციო კოლეგიების შემადგენლობის შერჩევას. ამის შედეგად რედაქტორებად ხშირად ირჩევენ პოლიტიკურად ნაკლებ მომზადებულ ადამიანებს, რომლებიც ავტორიტეტით ვერ სარგებლობენ. მაგალითად, კასპის რაიონის სოფელ ხოვლეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კედლის გაზეთის რედაქტორად არის პარტიის რიგებიდან გარიცხული შ. გამდილაშვილი, რომელიც თავს არიდებს კოლმეურნეობაში მუშაობას.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად უჭერენ მხარს კედლის გაზეთების კრიტიკულ გამოსვლებს, იშვიათად განიხილავენ კედლის გაზეთების მუშაობის საკითხებს, არ იღებენ ღონისძიებებს მათი სარედაქციო კოლეგიების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

დადგენილებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ კასპისა და ზესტაფონის რაიონული გაზეთების რედაქციები იშვიათად აქცეყნებენ ძირეული პრესის მიმოხილვებს, არ აწყობენ სემინარებს სარედაქციო კოლეგიების წევრებისა და მუშსოფლკორთა აქტივისათვის.

ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ პარტიის ზესტაფონის რაიკომს უკანასკნელ წლებში ერთხელაც არ განუხილავს ძირეული პრესის მუშაობის საკითხები. კასპის რაიკომმა კი, რომელმაც გასულ წელს ორჯერ განიხილა ეს საკითხები, ვერ მიაღწია რაიონის ძირეული პრესის მუშაობის რამდენადმე შესამჩნევ გაუმჯობესებას.

საქართველოს კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის კასპისა და ზესტაფონის რაიკომებს ბოლო მოუღონ ძირეული პრესის შეუფასებლობას, გადაჭრით გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა, გააძლიერონ კედლის გაზეთების როლი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. საჭიროა სარედაქციო კოლეგიებმა უურადღება მიაპყრონ მოწინავე კოლმეურნეთა და მექანიზატორთა გამოცდილების გაშუქებას, საქმიანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებას. თავისი კოლმეურნეობის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობის ცხოვრებიდან და საქმიანობიდან აღებული კონკრეტული მაგალითებით კედლის გაზეთები უნდა რაზმავდნენ სოფლის მეურნეობის მუშაკებს ნათესების წარმატებით მოვლისათვის, მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის აუღლადობის შემდგომი გადიდებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის საბრძოლველად.

ძირეული პრესისადმი დახმარებისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა პრაქტიკაში შემოღებულ იქნას კედლის გაზეთების რედაქტორთა და სარედაქციო კოლეგიების წევრთა თათბირები და სემინარები მათი მუშაობის პრაქტიკულ და მეთოდურ საკითხებზე. გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით პერიოდულად უნდა ეწყობოდეს კედლის გაზეთების რაიონული დათვალიერება. რაიკომების ბიუროების სხდომებზე საჭიროა შემოღებულ იქნას პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და რედაქტორების ანგარიშები კედლის გაზეთების მუშაობის შესახებ. პარტიის რაიკომების ინსტრუქტორთა ჯგუფები მტს-ების ზონების მიხედვით მოვალენი არიან პრაქტიკული დახმარება გაუწიონ სარედაქციო კოლეგიებს კედლის გაზეთების შინაარსის გაუმჯობესებაში, მათ მიერ გამოქვეყნებული მასალების ქმედითობის გაძლიერებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ყოველდღიურად წარმართონ ძირეული პრესის მუშაობა, უახლოეს ხანში შეავსონ სარედაქციო კოლეგიები ინიციატივიანი, მცოდნე და საქმის მოყვარული მუშაკებით, კედლის გაზეთების მუშაობაში მონაწილეობისათვის მოიზიდონ მუშსოფლკორთა ფართო აქტივი. საჭიროა პერიოდულად მოისმინონ პარტიული ორგანიზაციების კრებებსა და მშრომელთა საერთო კრებებზე სარედაქციო კოლეგიების ანგარიშები, აქტიურად დაუჭირონ მხარი კედლის გაზეთების მიერ გამოქვეყნებულ კრიტიკულ შენიშვნებსა და სიგნალებს.

საქართველოს კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს გააუმჯობესონ კედლის გაზეთების მუშაობის გაშუქება, პრაქტიკაში შემოიღონ სემინარები და საინსტრუქციო თათბირები ძირეული პრესის მუშაკებისათვის.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის წინ

გამოფენის მონაწილენი თელავის რაიონიდან

★ ★ ★

ელექტროენერგიის მაქსიმალურად გამოყენების გზით

დიდი ლენინის ანდერძის განუხრელი შესრულებით დღეს ჩვენი სოფელი აკურა კეთილმოწყობილ, განვითარებული სოფლის მეურნეობის დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს. სოფლის 700-მდე კომლი გაერთიანებულა კოლმეურნეობა „მოწინავეში“. იგი შეიქმნა საკოლმეურნეო მოძრაობის გარიჟრაჟზე, 1928 წელს, როცა სოფლის ბობოლები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. პარტიამ გენიალური ლენინის მოწაფისა და მისი საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის მეთაურობით უდიდესი შრომა გასწია, რათა საკოლმეურნეო მშენებლობის სწორ გზაზე დადგარი გლეხკაცობისათვის მხარი დაეჭირა და საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებაში დახმარებოდა. თუ რამ კარგი გააჩნია ჩვენს კოლმეურნეობას, თუ აკურელი კოლმეურნეები დღეს შეძლებულად და საამურად ცხოვრობენ, ეს არის ჩვენი გლეხკაცობისათვის პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვის პირდაპირი შედეგი.

კოლმეურნეობა „მოწინავის“ სიმდიდრეს, მისი შემოსავლის ძირითად წყაროს 205 ჰექტარი კარგად დამუშავებული ვენახი, მრავალი ასეული ჰექტარი სახნავ-სათესი ფართობი, მეცხოველეობის კარგად მოწყობილი ფერმები წარმოადგენენ. შარშან ჰექტარზე საშუალოდ 85,3 ცენტნერი ყურძენი მოვიყვანეთ.

ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენი კოლმეურნეები შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობდნენ, რომ მათ შრომა შევუმსუბუქოთ მეურნეობის ყველა დარგში. ამ მიზნით ფართოდ გვაქვს გამოყენებული ელექტროენერგია, რასაც უწყვეტად გვაძლევს ალაზნის ჰიდროელექტროსადგური. თელავის მტს-ი თავისი მანქანებით ასრულებს მთელ შრომატევად სამუშაოთა თითქმის 95 პროცენტს. ჯერჯერობით მექანიზირებული არ არის ვენახების შეწამლვა, გოგირდის შეფრქვევა, მწვანე ოპერაციები, ყურძნის კრეფა და ზოგიერთი სხვა სამუშაო. ეჭვი არ არის, რომ უახლოეს დროში ამ დარგებშიც შეუმსუბუქდებათ შრომა ჩვენს კოლმეურნეებს.

ელექტრობის ძალით მუშაობს კოლმეურნეობის სახერხი ქარხანა, წისქვილი, სამჭედლო, მისი გამოყენებით გაწარმოებთ ყურძნის გადამუშავებას, პირუტყვისათვის საკვების მომზადებას, მარცვლის წმენდას და მთელ რიგ სხვა სამუშაოებს.

მთელი სოფელი ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია. შარშან ავაგეთ 500-ადგილიანი საკოლმეურნეო კლუბი, რომელიც სოფლის სიამაყეს წარმოადგენს. კლუბთან მუშაობენ თვითმოქმედი წრეები. გვაქვს სტაციონარული კინოდანადგარი. ჩვენს კლუბში ყოველდღე ახალ კინოფილმებს უჩვენებენ. წელს ჩვენი კლუბის სცენაზე სიამოვნებით ვნახეთ კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის ორი წარმოდგენა.

კულტურა განუწყვეტლივ მიდის აღმავლობის გზით. რა დროსაც მოვისურვებთ, შეგვიძლია ტელეფონით დავუკავშირდეთ ჩვენს ბრიგადირებს. სოფელში კარგად მუშაობს ფოსტა, ამბულატორია, აფთიაქი, კოოპერაციული სავაჭროები. გამოგვყავს ახალი წყალსადენი, სკოლისათვის ვაშენებთ ახალ ორსართულიან შენობას.

ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირველი როდია, რომ ჩვენი კოლმეურნეები ძალღონის დაუზოგავად შრომობენ ყველა დარგში და ახალ წარმატებებს აღწევენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში.

ელექტროენერგიის მაქსიმალურად გამოყენებით კიდევ უფრო დავაჩქარებთ ჩვენს წინსვლას კომუნიზმის მწვერვალებისაკენ.

აგრონომი **ს. კაატაშვილი,**
სოციალისტური შრომის გმირი, სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ თავმჯდომარე.

★

რითაც ჩვენ ვამაყობთ

მთელ საბჭოთა კავშირშია ცნობილი წინანდლის ლენინის ორდენოსანი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა.

რამ გაუთქვა სახელი ჩვენს მეურნეობას?

მისი ადამიანების მადლიანმა შრომამ, ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის მეურნეობის მუშაკთა დაუღალავმა ბრძოლამ, მეურნეობის ღვინო-მასალისაგან გამომშვებულმა სამარკო ღვინოებმა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების მშრომელთა სუფრას ამშვენებენ.

წინანდლის მეურნეობას გამოცდილების დიდ სკოლას უწოდებენ კოლმეურნეები. ამაში მართალი არიან ისინი. თუნდაც ის ფაქტი, რომ მეურნეობას ამჟამად ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატები — 14 სოციალისტური შრომის გმირი და 105 ორდენოსანი და მედალოსანი ჰყავს, მეტყველებს ამ დიდი მეურნეობა-სკოლის მდიდარ გამოცდილებაზე.

შარშანდელი სამეურნეო წელი მეურნეობამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა. 293 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 63,47 ცენტნერი ყურძენი მოვკრიფეთ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 49 ცენტნერისა. განსაკუთრებით ისახელეს თავი იმ უბნებმა, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირები ლ. არსენაშვილი და დ. სავანელი ხელმძღვანელობენ.

ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ გამოცდილი მევენახეების ს. გემბაშვილის, ი. ნაცვლიშვილის და ვ. დაღლიშვილის საწარმოო ბრიგადები. ამ ბრიგადებმა მუყაითი შრომით შარშან ჰექტარზე საშუალოდ 90-100 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს.

ყოველწლიურად ვზრდით ვენახების ფართობს. შარშან 65 ჰექტარზე გავაშენეთ ახალი ვენახი, წელს მას კიდევ 70 ჰექტარი შეემატება. აქედან 20 ჰექტარზე ახალი ვაზი უკვე ამ გაზაფხულზე ჩავყარეთ. ვენახის მოვლა-პატრონობაში განსაკუთრებით გაითქვეს სახელი სამგზის ლენინის ორდენოსანმა შაქრო ხუციძემ, მისმა აღზრდილებმა სოციალისტური შრომის გმირებმა ი. ბაღათრიშვილმა, ლ. უთალიშვილმა, თ. ლაფაურმა, ლენინის ორდენოსანმა გ. ზესხიშვილმა და მრავალმა სხვამ. მათ ისე დაამუშავეს წელს ვენახები, რომ ყურძნის ნავარაუდევ მოსავალს დიდად გადავაჭარბებთ.

ჩვენი მეურნეობის დამტკიცებამ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ ახალი შრომითი აღფრთოვანება გამოიწვია მეურნეობის მუშაკთა კოლექტივში. მათ პირობა დადეს, რომ ყურძნის უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღებით და ვენახების სანიმუშოდ დამუშავებით მომავალ წელს უფრო მაღალი მაჩვენებლებით წავლენ გამოფენაზე.

ი. ბოლქვაძე,
სოციალისტური შრომის გმირი, წინანდლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

სურათზე: (მარჯვნიდან მარცხნივ) 1. სოფელ კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეაბრეშუმე მ. სუხიტაშვილი საჭიე ბინაში ამოწმებს ოთახის ტემპერატურას. 2. თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ქარხნის სტახანოველი ნ. შაშიაშვილი (წინა პლანზე) ამოწმებს ახლად ამოღებულ აბრეშუმის ძაფის ხარისხს.

ფოტო შ. გოკაძისა.

მოწინავენი

თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენს დღეს ალაზნის ველი. აქ მძლავრად ჩქეფს კოლმეურნეთა შემოქმედებითი შრომა. წითელ საბათლოდან დაწყებული ბორბალოს მთის ძირამდე, სადაც მდინარე ალაზნის სათავეა, შემოქმედებითი შრომის სიმფონიას მოუცავს არე-მარე.

პურეულის მოსავლის აღება თუმცა ბევრგან დამთავრდა, მაგრამ ოდნავაც არ შენელებულა საკოლმეურნეო მინდვრებზე მძიმეშავე კოლმეურნეთა და მექანიზატორთა მუშაობა. ტრაქტორისტების მარჯვენამ დიდ ფართობებზე უკვე გადააშავა ნაწვერალი. აქედანვე ეყრება საფუძველი მომავალი წლის უხვ მოსავალს.

გარიჟრაჟიდან დაღამებამდე შრომობენ კოლმეურნეები, ზოგი კალოებზე, ზოგი ბაღ-ვენახებსა და სიმინდებში, ზოგნიც მეცხოველეობის ფერმებში.

ადამიანები ხარობენ წლევანდელი ბარაქიანი მოსავლით. ისინი ოცნებობენ მომავალ წელს უკეთესი მოსავლის მიღებაზე. ეს ოცნება მათთვის უკვე საბრძოლო დევიზად გამხდარა და აი რატომ.

— შარშან ნაკლებად როდი ვიმუშავეთ, მაგრამ არ გამოგვიჩვია, — თითქოს გულდაწყვეტით გვითხრა თელავის რაიონის ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

— როგორ, რა არ გამოგვიჩვიათ?

— რაღას მეკითხებით, ვითომ არც კი გრძნობთ, რა ბოღმა მოსწოლია ჩემს გულს.

— მაინც?

— რადგან ასეა, გეტყვით, არ დაგიმალავთ. თუმცა თქვენ რას გვიშველით? ახლა უკვე დაგვიანებულია. რაც მოხდა მოხდა. შარშან უნდა გვეფიქრნა ამაზე, გვეფიქრნა ადრე გაზაფხულზე...

ბოლოს მივხვდით, თუ რა აწუხებდა იყალთოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ალექსი ჭიბალაშვილს.

— ჩვენი რაიონის ბევრი მოწინავე მოსკოვისათვის ემზადება, გამოფენაზე მიდის. დაიმახსოვრეს, გამოსაჩენი საქმე გააკეთეს და სამართლიანად უხარიათ კიდეც. არ გეგონოთ — მე ან ჩვენს კოლმეურნეებს გვშურდეს რომ, მაგალითად, კურდღელაურელებმა მეაბრეშუმეობაში გაიმარჯვეს და გამოფენის მონაწილენიც გახდნენ, ან ის, რომ აკურელმა კოლმეურნეებმა შესანიშნავად მოაწყეს თავიანთი მეურნეობა, ყველაფერში გამოიყენეს ელექტროენერგია და ამით მოიპოვეს უფლება გამოფენის მონაწილენი გამხდარიყვნენ. არც წინანდლელ მევენახეთა წარმატება გვშურს. რაც მართალია, მართალია, მევენახეობის განვითარებისა და ყურძნის მოსავლიანობის გეგმის ძესრულებაში მათ ძალიან გაუსწრეს სხვა საბჭოთა მეურნეობებს...

წუხდა ალექსი, მაგრამ არ წუწუნებდა. იმედით ფიქრობდა მომავალზე. თუ წელს არა, მომავალში მაინც ჩვენი კოლმეურნეობა ღირსი გახდება გამოფენის მონაწილე იყოსო.

დღეს რაიონის ბევრი კოლმეურნეობის ხელმძღვანელი, ბევრი კოლმეურნე ფიქრობს ალექსის მსგავსად.

— შარშან როდი მეგონა, რომ ასე იმოქმედებდა ჩემზე ჩვენი კოლმეურნეობის ამ საერთო-სახალხო დათვალიერებაში მონაწილეობის მიუღებლობა, — ოდნავ დარცხვენით თქვა ალექსიმ და თანაც გული გაიკეთა: — ჩვენი კოლმეურნეობის წევრები კარგად იყვნენ და ყველაფერი გამოსწორდება.

მართალაც, თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა შარშან ცოტა შრომა როდი გასწიეს იმისათვის, რომ გაედიდებინათ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა, აემაღლებინათ მეცხოველეობის პროდუქტიულობა! მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებისა, მათი შრომის შედეგებმა, ცალკეულ დარგებში მოპოვებულმა მიღწევებმა ვერ დააკმაყოფილა გამოფენაში მონაწილეობის პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რის გამო ისინი გამოფენის მონაწილენი ვერ გახდნენ.

სამაგიეროდ, მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა შეძლეს მიეღწიათ ისეთი მაჩვენებლებისათვის, რომლებმაც უზრუნველყო მათი საქვეყნოდ გაცნობა და გამოფენაზე წარდგენა. მათ რიცხვში აღმოჩნდნენ სოფელ კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობა და სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავე“, რომელთა სასახელო შრომითს საქმეებზე არაერთხელ ყოფილა წერილები და ნარკვევები ჩვენს პრესაში.

* * *

კურდღელაური საკმაოდ მოზრდილი სოფელია. სამოდე წლის წინათ ამ სოფელში სამი კოლმეურნეობა არსებობდა. სამივე კოლმეურნეობის წევრთა სურვილით ისინი ერთ მძლავრ — ენგელსის სახელობის კოლმეურნეობად გაერთიანდნენ და თავიანთ ხელმძღვანელად უნარიანი მეურნე, დიდი გამოცდილების მქონე ივანე მახნიაშვილი აირჩიეს.

კოლმეურნეობაში თანდათანობით მოწესრიგდა შრომა, გადამწყვეტ დარგებს სათავეში ჩაუდგნენ შრომისმოყვარე ადამიანები და საქმეც წინ წავიდა.

კურდღელაურელებმა 1952-1953 წლებში განსაკუთრებულ წარმატებას მეაბრეშუმეობის განვითარებაში მიაღწიეს. აბრეშუმის პარკის ჩაბარების სახელმწიფო დავალება ამ წლებში დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. გაჩნდნენ აბრეშუმის ჭიის გამოკვების ნოვატორები, წარჩინებული მეაბრეშუმეები, რომელთა სასიქადულო შრომამ ბევრი მიმდევარი გაიჩინა. ეს მეტად საყურადღებო მაგალითი იყო. შარშან კოლმეურნეობამ მარტო მეაბრეშუმეობით 250 ათას მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღო. წელს მათ უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ამ დარგში.

მაგრამ კურდღელაურის კოლმეურნეობამ მარტო მეაბრეშუმეობით როდი გაითქვა სახელი. მას 160 ჰექტარი საუცხოოდ მოვლილი ვენახი აქვს. შარშან საშუალოდ ჰექტარზე 84 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს. კოლმეურნეები კულტურულად და შეძლებულად ცხოვრობენ. ილიჩის ნათურებით არის გაჩირაღდნებული მათი სახლ-კარი, კარიდამო. სოფელი რადიოფიცირებულია. წელს 500-ადგილიან საკოლმეურნეო კლუბს აშენებენ. მათი შვილები განათლებას იღებენ ადგილობრივ სკოლაში, კოლმეურნეები უხვად სარგებლობენ კულტურის ყველა სიკეთით.

კურდღელაურელებში დიდი სიხარული გამოიწვია ცნობამ, რომ მათი კოლმეურნეობა მეაბრეშუმეობაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის გამოფენის მონაწილეობის ღირსი გახდა.

— ამიერიდან ამ უფლებას ყოველ წელს მოვიპოვებთ! — რწმენით ამბობენ არტელის მოწინავე ადამიანები.

* * *

აკურის კოლმეურნეობა „მოწინავე“ ერთ-ერთი უძველესი სასოფლო-სამეურნეო არტელია თელავის რაიონში. მისი ადამიანები განთქმული არიან შრომისმოყვარეობით, საერთო-საზოგადოებრივი საქმისათვის თავდადებით. კოლმეურნეობა ყოველწლიურად სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვ მოსავალს იღებს. განსაკუთრებით მძლავრად არის განვითარებული მევენახეობა. ვენახების ფართობი 200 ჰექტარს აღემატება. კოლმეურნეობას ბევრი ჰყავს ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატები, მათ შორის სახელგანთქმული მევენახეები — სოციალისტური შრომის გმირები გაბრიელ ჭურღულაშვილი, რომან ჯაჭვაძე, მიხეილ ლუცუბიძე და სხვები. ვენახების საუკეთესოდ დამუშავებით ისინი ყოველწლიურად იღებენ ყურძნის უხვ მოსავალს. მარტო შარშან საშუალოდ ჰექტარზე 85,3 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს, ვადაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმა.

აკურელები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ მეცხოველეობის განვითარებას. მათ მოაწყეს მეძროხეობის საჯიშე ფერმა, შეიძინეს ჯიშიანი ძროხები, ააშენეს მათთვის ახალი ნაგებობანი და მოაწყეს მათი სანიმუშოდ მოვლა-პატრონობა. მარტო 17 ჯიშიანი მეწველი ძროხა კოლმეურნეობას ყოველდღიურად 200 ლიტრ რძეს აძლევს.

მთავარი ამ კოლმეურნეობის საქმიანობაში ის არის, რომ რაიონის კოლმეურნეობებს შორის ის ყველაზე ეფექტიანად იყენებს ელექტროენერგიას. სწორედ ამით გახდა „მოწინავე“ გამოფენის მონაწილეობის ღირსი.

გარდა იმისა, რომ მთელი სოფელი ელექტროფიცირებულია, კოლმეურნეობაში ყველა შრომატევადი სამუშაო ძირითადად ელექტროენერგიით სრულდება. მას იყენებენ კალოზე, ფერმებში, სახერხ ქარხანასა და წისქვილში, აგრეთვე საკოლმეურნეო წარმოების მთელ რიგ დარგებში.

ელექტრობა მტკიცედ დამკვიდრდა კოლმეურნეთა ოჯახებში. ამით კოლმეურნე ქალს დიდად შეუმსუბუქდა ოჯახში შრომა. ახლა არცთუ იშვიათია, რომ კოლმეურნე ქალები ელექტრობის საშუალებით ასრულებენ საოჯახო საქმეებს.

კოლმეურნეობაში ელექტროენერგიის ფართოდ გამოყენებით მიღწეულ იქნა 11.760 კაც-დღისა და 3.359 ცხენ-დღის ეკონომია. გასაგებია როგორ შეუმსუბუქდებოდათ ამის შედეგად კოლმეურნეებს შრომა, როგორ გაიზრდებოდა თვითეული შრომადღის ხვედრი.

აკურელები კიდევ უფრო აფართოებენ მეურნეობის ყველა დარგში ელექტროენერგიის გამოყენებას, განსაკუთრებით ვარაუდობენ განახორციელონ მევენახეობის შრომატევად სამუშაოთა ელექტროფიკაცია. ამ საქმეში კოლმეურნეები იმედს ამყარებენ ჩვენს მეცნიერ მუშაკებზე.

* * *

საქვეყნოდ ცნობილია წინანდლის მევენახეობა-მეღვინეობის ლენინის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობა. მისი სამარკო ღვინოები განთქმულია ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

შარშან მეურნეობის მუშაკთა მძლავრმა კოლექტივმა საუცხოოდ დაამუშავა 580 ჰექტარი ვენახი. გმირულმა შრომამ შესანიშნავი წარმატება მოუტანა ქვეყანას. საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფეს 63,55 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 49 ცენტნერისა. ეს ზღვარი არ ყოფილა მეურნეობის ყველა აგროუბნისათვის. ბევრგან ყურძნის მოსავლიანობამ ჰექტარზე 90-100 ცენტნერს გადააჭარბა.

წინანდლელი მევენახეები წელს უკეთესი მაჩვენებლებისათვის იბრძვიან. თვალისჩინივით უვლიან მტევნებით დახუნძლულ ვაზებს. ისინი ვარაუდობენ შარშანდელზე უფრო მეტი ყურძენი მისცენ ქვეყანას, მშრომელთა სუფრა დაამშვენონ სამარკო ღვინოებით: „წინანდლით“, „თელიანით“ და სხვ.

ამ ძველ მეურნეობას ბევრი მოწინავე ადამიანი ჰყავს. საამაყოა ითქვას, რომ მის კოლექტივში სასახელო შრომითი წარმატებისათვის იბრძვის 14 სოციალისტური შრომის გმირი და 105 ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული წარჩინებული ადამიანი.

მათმა გმირულმა შრომამ ასახელა მეურნეობა, მათმა მარჯვენამ მოუპოვა მას უფლება სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გამხდარიყო.

* * *

თელავის რაიონის კოლმეურნეთა, მექანიზატორთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მისწრაფებაა კვლავაც განაგრძონ დაუღალავი შრომა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში უკეთესი შედეგების მოპოვებისათვის.

ვუსურვოთ მათ წარმატება ამ სასახელო შრომაში!

ა. კოკილაშვილი.

რიონჰესის ოცი წლისთავი

1934 წლის 30 ივლისს მთავრობის კომისიამ რიონის ჰიდროელექტროსადგური სამრეწველო ექსპლოატაციისათვის მიიღო. ამუშავებისთანავე რიონჰესს რესპუბლიკის ენერგოსისტემაში წამყვანი როლი მიეკუთვნა, როგორც ერთ-ერთ ძლიერ, მარეგულირებელ სადგურს.

განვლილი 20 წლის მანძილზე რიონჰესის კოლექტივმა სამშობლოს მისცა მრავალი მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია და ამ 20 წლის განმავლობაში 105,3 პროცენტით შეასრულა. საგრძნობლად გაიზარდა აგრეგატების მუშაობის ხანგრძლივობა და შესაბამისად შემცირდა მათი სარემონტოდ დგომის დრო.

რიონჰესელები წარმატებით დაეუფლნენ მათს განკარგულებაში არსებულ ტექნიკას, გააუმჯობესეს მუშაობის ხარისხი და მიაღწიეს შეფერხებათა საგრძნობლად შემცირებას.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სადგურის ელექტრომექანიკურ და ჰიდროტექნიკურ დანადგართა მუშაობის შეფერხების შემთხვევები 13-ჯერ შემცირდა.

ამჟამად რიონჰესის ჰიდროაგრეგატები გადაყვანილია ავტომატურ მართვაზე. მიმდინარეობს მუშაობა საწნევი ფარის, სადღეღამისო მარეგულირებელი აუზის ფარების, ამწე მექანიზმების სადისტანციო მართვის განსახორციელებლად, სადგურის სხვადასხვა კვანძზე ავტომატიზაციის დასანერგავად. ახალი ტექნიკის დანერგვამ გამოიწვია შრომის ნაყოფიერების 18-20 პროცენტით გადიდება და სადგურის მომსახურე პერსონალის 30 პროცენტამდე შემცირების შესაძლებლობა, ხოლო განთავისუფლებული მუშაკები გაიგზავნენ სხვა ობიექტებზე სამუშაოდ.

რიონჰესი როგორც მშენებლობის, ისე ექსპლოატაციის პერიოდში იყო და არის ახალგაზრდა კადრების აღზრდისა და გამოწრთობის კერა. ი. ვაშაკიძე, ს. შანიძე, რ. წოწორავა, მ. ყიენტი, ვ. ბაღდავაძე, ს. კერესელიძე და სხვები, რომლებიც ოცი წლის წინათ მოვიდნენ რიონჰესში სამუშაოდ, ამჟამად ოსტატებად და უფროს მემანქანეებად მუშაობენ, ლენინის ორდენოსნები არიან.

სადგურის მრავალ მოწინავე ადამიანთა შორის აღნიშვნის ღირსი არიან: ელექტროსაამქროს უფროსი ოსტატები გ. მელნიკოვი და ვ. ომელჩენკო, ზეინკლები გ. ჭეიშვილი, შ. სინატაშვილი, დ. მელაძე, ხარატი ი. ძიძიგური, ელექტრომემონტაჟე გ. ზუბაევი, მოტორისტები ტ. სახამბერიძე, ა. ბურჯანაძე, რ. ტყემელაშვილი, საამქროთა უფროსები გ. კვანტალიანი, ბ. ამაღლობელი, გ. გურგენიძე, კ. ჯოგლიძე, ლაბორატორიის გამგე პ. ბახტაძე, საექსპლოატაციო განყოფილების უფროსი პ. კაკაჰეშვილი, საექსპლოატაციო განყოფილების უფროსი ინჟინერი კ. ჩიხლაძე, ფარის მორიგე ნ. სანიკიძე, შემდუღებელი სულამანიძე, ო. გრძელიძე და სხვ.

განვლილი 20 წლის მანძილზე რიონჰესის კოლექტივი ოცჯერ გამოვიდა გამარჯვებული სოციალისტურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის მოქმედ ელექტროსადგურთა კოლექტივებს შორის და მიიღო ფულადი ჯილდო. წელსაც იგი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ზაჰესის, ხრამჰესის, მოძმე სომხეთის ჰიდროელექტროსადგურების კოლექტივებთან.

რიონჰესის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები პირობას იძლევიან, რომ მთელ ცოდნას, ენერგიასა და გამოცდილებას მოახმარენ ჰიდროსადგურის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეს და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

გ. დოლიძე,
სტალინის სახელობის რიონჰესის დირექტორი.

ენთუზიასტები

ტურბინებთან, გენერატორებთან, ფარებთან და ტრანსფორმატორებთან დგანან „თეთრი ნახშირის“ გამოყენების ოსტატები. ყრუ გუგუნი მოისმის ვეებერთელა შუშაბანდიან დარბაზში, სადაც ეს ტურბინ-გენერატორები დგას, და ამ ხმაურში იბადება ოქროსფასი ელექტროენერგია.

20 წელიწადია აქ მუშაობს სატურბინე საამქროს უფროსი მემანქანე მიხეილ ყიენტი. დანადგარებისადმი ყურადღება, საექსპლოატაციო წესების ზედმიწევნითი სიზუსტით დაცვა, უწუნო, უავარიო მუშაობა მისი დამახასიათებელი თვისებებია. სამშობლომ ღირსეულად დააფასა მისი შრომა და იგი ლენინის ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

მ. ყიენტის გვერდით მერემონტედ მუშაობს ოსტატი ს. კერესელიძე. მთელი კოლექტივის საამაყო წარმომადგენელია იგი. მისი აღზრდილი გივი ჭეიშვილი ისე დაოსტატდა, რომ ახლა ორ პროფესიას ფლობს — ზეინკლისას და ელექტროშემდუღებლისას.

გერმანე მელნიკოვი, ელექტროსაამქროს უფროსი ოსტატი, მთელ კოლექტივში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. ამიტომ იყო, რომ იგი, როგორც აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი, ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

რიონჰესელები ამაყობენ თავიანთი ნოვატორებით, რაციონალიზატორებით, ტექნიკას დაუფლებული ისეთი ადამიანებით, რომლებიც შემოქმედებითი აქტივობით გამოირჩევიან. ბევრი მათგანი ახლა საქართველოს ახალი, მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლების დასახმარებლად არის წასული. -ე. დარახველიძე, ე. ორმოცაძე, კ. ჯავახაძე გუმათჰესებისა და ლაჯანურჰესის მშენებლობებზე მუშაობენ. ახალ მშენებლობაზე წავიდა რიონჰესელი ნოვატორი ინჟინერი დ. შავგულიძეც.

ლენინის ორდენოსან რ. წოწორავას, გ. იობიძის, დ. ჭირაქაძის, მ. ნიკოლაიშვილის, ვ. ომელჩენკოს, გ. წულაძის, ნ. სანიკიძის, ი. ვაშაკიძის და მრავალ სხვათა თავდადებული, ნაყოფიერი შრომის შედეგია, რომ რიონჰესიდან შეუფერხებლივ მოდის შუქი საქართველოს მრეწველობისა და კულტურის მეორე ცენტრში — ქუთაისში. მისი ენერგიით იძლევიან ფერშენადნობებს ზესტაფონელი მეტალურგები, ქვანახშირს — ტყიბულელი მეშახტეები, მარგანეცის მადანს — ჭიათურელი მაღაროელები, ავტომანქანებს — ქუთაისელი ავტომობილმშენებლები.

რიონჰესი საქართველოს ენერგეტიკოსთა სიამაყეა, რიონჰესელები ამ სიამაყის შემქმნელი ენთუზიასტები არიან.

გ. მეფისაშვილი.
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

რიონჰესის მოწინავე ადამიანები. პირველი რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) — მიწისმწოვი მანქანის მემამძღვანე ხ. წურწუმია, ელექტროსაამქროს უფროსი ოსტატი გ. მელნიკოვი, სატურბინე საამქროს უფროსი მემანქანე რ. წოწორავა; მეორე რიგში — სატურბინე საამქროს ოსტატი ხ. კერესელიძე, იმავე საამქროს უფროსი მემანქანე მ. ყიენტი, ზეინკალი ა. ბურჯანაძე.

ფოტო დ. ჯაკიტელაშვილისა.

პიონერთა ბანაკში

ზღვის პირას, ქობულეთში სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირმა მოაწყო პიონერთა ბანაკი. პიონერები აქ საინტერესოდ და შინაარსიანად ატარებენ დროს. აწყობენ ექსკურსიებს საკოლმეურნეო მინდვრებზე, ჩაის პლანტაციებში. ეცნობიან სოციალისტური შრომის მგმირებს, საუბრობენ მათთან და ეხმარებიან კოლმეურნეებს ჩაის ფოთლის კრეფაში. გარდა ამისა, პიონერები თევზაობენ მდინარე ჩოლოქზე, ხვდებიან მეზობელი ბანაკის პიონერებს. ბავშვების საყვარელი სტუმრები არიან ქ. ბათუმის თოჯინების თეატრის მსახიობები, რომლებიც ხშირად მართავენ სპექტაკლებს.

გ. ბაკურაძე.

სვანეთის სოფლების რადიოფიკაცია

მესტია. (საკ. კორ.). დიდი ყურადღება ექცევა მაღალმთიანი სოფლების რადიოფიკაციას. წინათ მარტო რაიონულ ცენტრში იყო რადიოგაყვანილობა. გასულ წელს სოფელ ხაიში დაიდგა რადიოკვანძი, რომელმაც უზრუნველყო სოფლის მცხოვრებთა მომსახურება.

მესტიის რაიონის ყველაზე დაშორებულ სოფელში — კალაში მიმდინარე წელს დაიდგა რადიოკვანძი, რომელიც 2 ათას წერტს მოემსახურება. კალის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა უკვე დაამთავრეს რადიოქსელის გაყვანა. კალის რადიოკვანძი მომსახურებას გაუწევს აგრეთვე სოფელ იფარის მცხოვრებლებს.

სოფელ ნაკრაში დამთავრდა რადიოკვანძის დადგმა. იგი მომსახურებას გაუწევს კოლმეურნეთა 80 ოჯახს. სულ მალე სოფლები ხეჩო და ადიშიც რადიოფიცირებული იქნება.

სასადილო ჩაის პლანტაციაში

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას „ეკალდიდის“ ტერიტორიაზე 100 ჰექტარამდე ჩაის სრულმოსავლიანი პლანტაცია აქვს. ეს ადგილი სოფელს რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული. კოლმეურნეთა მომსახურებისათვის კოლმეურნეობამ აქ საველე სასადილო მოაწყო.

სასადილოში დღეში 200-მდე მეჩაიე სადილობს. კოლმეურნეები კმაყოფილი არიან მომსახურებით. ამის შედეგად მინიმუმამდეა დაყვანილი მოცდენა ფოთლის კრეფაში.

მაღაროელები წიგნებს იძენენ

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში წარმატებით მიმდინარეობს წიგნის ერთთვიური. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა მაღაროელთა ბიბლიოთეკისათვის შეიძინა 8.000 მანეთის პოლიტიკური, მხატვრული, ტექნიკური და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა. სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა შეიძინა 4.500 მანეთის ლიტერატურა, ორჯონიკიძის სახელობის მაღარომ 2.500 მანეთისა.

ავნევის საშუალო სკოლის მშენებლობა კვლავ ჭიანურდება

1948 წელს ავნეველი კოლმეურნეები გულთბილად შეხვდნენ მეტად დიდმნიშვნელოვან საქმეს — სოფელში საშუალო სკოლის მშენებლობის დაწყებას. სოფლის ახალგაზრდობა მოელოდა, რომ მშენებლობა 1949 წლის სექტემბრისათვის დამთავრდებოდა, რადგან გეგმით ასე იყო გათვალისწინებული. ავნეველთა მოლოდინი არ გამართლდა. საქმისადმი უყურადღებობის გამო სასკოლო შენობა დღესაც მშენებლობის პროცესშია. სამუშაოები ჭიანურდება, საქმეს ბოლო არ უჩანს. წლების განმავლობაში სამშენებლო ობიექტს შეფერხებებით აწვდიდნენ მასალას — ხეტყეს, ცემენტს, არმატურის რკინას, თუნუქს, საკმარისი არ იყო მუშახელი. მშენებლობას სუსტად ხელმძღვანელობდა ინჟინერი რ. გაჩეჩილაძე. სუსტი იყო აგრეთვე დახმარება როგორც რაიონის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების, ისე ოლქის განათლების განყოფილების მხრივ. ყოველივე ამის გამო სოფლის ახალგაზრდობამ ახალი სასკოლო შენობა ვერ მიიღო.

6 წელმა განვლო მშენებლობის დაწყებიდან და ახლა როგორც იქნა, დასასრულს უახლოვდება. სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებით ავნეველმა მოსწავლეებმა მომავალი სასწავლო წელი ახალ შენობაში უნდა დაიწყონ, მაგრამ მოხდება ეს თუ არა, ჯერაც საეჭვოა, რადგან ოლქის აღმასკომის დადგენილების განხორციელებისათვის ამჟამადაც ცოტა რამ კეთდება.

მაისში მშენებლებს საშუალება ჰქონდათ დაემთავრებინათ სასკოლო ოთახების შელესვა და ამით საქმე წინ წაეწიათ, მაგრამ [illegible] რივმა [illegible] ვერ უზრუნველყვეს დამხმარე მუშახელით, ხელოსნებს ახლა უხდებათ შელესვაზე მუშაობა. ეს კი აგვიანებს სამღებრო სამუშაოებს.

ამჟამად სკოლის მშენებლობაზე ყოველდღიურად 35-40 კაცი მუშაობს მაგრამ, სამწუხაროდ, სამშენებლო მასალა საკმაოდ არა აქვთ, რაც აფერხებს საქმეს. უწინარეს ყოვლისა საჭიროა 25-30 კუბმეტრი ხე-ტყე და საღებავები. ხეტყის უქონლობის გამო შეჩერებულია იატაკების დაგება და სხვა სამუშაოები.

მიმდინარე წელს ავნევის მეზობელ სოფელ ხეთაგუროვში უნდა დაწყებულიყო საშუალო სკოლის მშენებლობა, რისთვისაც მასალების ნაწილი მიიტანეს ადგილზე, მაგრამ მშენებლობა სხვადასხვა მიზეზის გამო გადაიტანეს მომავალი წლისათვის. მიტანილი სამშენებლო მასალა, მათ შორის ხე-ტყეც ღია ცის ქვეშ ყრია და ფუჭდება. რამდენჯერმე დაისვა საკითხი, რომ ხე-ტყე ავნევის სკოლისათვის გადაეცათ, მაგრამ დღემდე დადებითად არ გადაწყდა ეს საკითხი. დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს საღებავების შეძენაც.

ავნეველი კოლმეურნეების უკმაყოფილებას გაჭიანურებული მშენებლობის გამო ანგარიში უნდა გაეწიოს. ზნაურის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, აგრეთვე ოლქის განათლების განყოფილებამ ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა საშუალო სკოლის ახალი შენობის ექსპლოატაცია დანიშნულ დროზე დაიწყოს.

ი. თედიაშვილი.
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„გავაძლიერეთ ხელმძღვანელობა ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისადმი“

„კომუნისტის“ 10 ივლისის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მხილებული იყო ხაშურის რაიონის სოფლების წაღვლის, აგარების, ნამახტევის, გვერდისუბნის, იტრიის, ცედნის, ოძისისა და ცხრამუხის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა და პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

წერილში მოყვანილ ფაქტებს ოპერატიულად გამოეხმაურა საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომი. რაიკომის ბიუროს 22 ივლისის დადგენილებით სწორად ცნო გაზეთის კრიტიკული შენიშვნები და დასახა ქმედითი ღონისძიება წერილში მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ბიუროს გააფრთხილა ზონის ინსტრუქტორები ამხ. გ. გოგოლაძე, ა. თედიაშვილი, ს. კორკოტაძე და ა. მჭედლიშვილი, რომ თუ ისინი ზონის კოლმეურნეობებში უმოკლეს ვადაში არსებითად არ გააუმჯობესებენ პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას, განთავისუფლდებიან სამუშაოდან და დაედებათ მკაცრი პარტიული სასჯელი.

რაიკომის ბიუროს ურჩია აგარების კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას გაათავისუფლოს პარტიული ორგანიზაციის მდივნობიდან ამხ. ტეხაშვილი, რომელიც ერთდროულად მუშაობს კოლმეურნეობის აღმრიცხველად და სოფლმომარაგების გომის პუნქტის გამგედ.

გომისა და ხაშურის მტს-ების დირექტორებს და რაიკომის მდივნებს მტს-ების ზონებში დაევალათ გადაჭრით გააძლიერონ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ „კომუნისტის“ მიერ მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და იმ ღონისძიებათა შესრულებას, რომლებიც რაიკომის ბიუროს დასახა ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა გამოსწორებისათვის.

მტს-ების დირექტორებს და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს დაევალათ გააუმჯობესონ მუშაობა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მოსაწესრიგებლად, ამამაღლონ კოლმეურნეობებში აგრონომებისა და ზოოვეტსპეციალისტების როლი.

ბიუროს დაავალა ამხ. ა. ნოზაძეს, გ. მეტრეველს, ს. გოგიბერიძეს და პ. კუბლაშვილს შეიმუშაონ და რაიკომის ბიუროს განსახილველად წარმოუდგინონ ღონისძიებანი რაიონის კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის.

რაიკომის მორიგ პლენუმზე განხილულ იქნება ხაშურის მტს-ის ზონაში პარტიის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის მუშაობის საკითხი.

ალ. ჭეიშვილი — დიდი ტაღლა

ნაწყვეტი რომანიდან

რაღაც უცნაურმა ხმაურმა გამოაღვიძა ამ დილით ირამი. წუხანდელი თათბირიდან დაბრუნებული დიდხანს ბორგავდა და ტრიალებდა ლოგინში. როდის-როდის ჩასთვლიმა.

ჯერ კიდევ ძილში ჩაესმა მოხუცს ჩაის ფაბრიკის საყვირის ხმა. თავი წამოსწია ბალიშიდან და ფანჯრიდან გარეთ გაიხედა. ცა ისევ ლეგა ღრუბლებით იყო შემოსული, სახურავიდან ჩამონადენი წვეთების გულგამაწყალებელი წანწკარი ისმოდა.

წვიმის ხმაურა თანდათან ძლიერდებოდა, თითქოს უფრო ჩამობნელდა.

ელექტროსადგურზე, ჭიშკართან მდგომი ბოძიდან რომ მიიმართებოდა სახლისაკენ, ერთიმეორეს მისდევდნენ მსხვილი წვეთები — იტყოდი, მარცლა გაუმართავთო. ზოგჯერ მავთულზე დაკიდებული წვეთი წინმსრბოლს დაეწეოდა, თავს ვეღარ შეიმაგრებდა და მსხვილი ცრემლივით მოწყდებოდა. წვიმა ძლიერდებოდა. აივნის სვეტს დაყოლებულ თუნუქის მილშიც ახმიანდა სახურავიდან ჩამონადენი თქეში.

— ფუ, შეგირცხვა ნამუსი! გულამღვრეულად გახედა ცას ირამმა. მასაც დაეუფლა ის უსიამო დაძაბულობის განწყობილება, რომელსაც შეეპყრო მთელი კოლმეურნეობა ამ უკანასკნელი კვირის მანძილზე.

„ამინდს ხომ ვერ დავგეგმავთ“! — მოაგონდა ნესტორ კოტრიკაძის წამოძახილი გუშინდელ თათბირზე.

— მართლა, რა დროს წამოიწყო ეს დაეინებული თავსხმა? — ირამმა მძაფრი მოძრაობით გადაიგდო თავიდან სბანი, წამოიწია და იდაყვზე დაყრდნობილმა კიდევ გაიხედა ფანჯარაში.

„ცა ფეხად ჩამოდის“... — ჩაიდუდუნა მოხუცმა.

თვითეული წვეთის დაცემა თითქოს თავისებურად გაისმის ამ ძირგადგმული წვიმის სიმფონიაში. წვიმა ხან მსუბუქად სცრის, ხან საფანტივით აკაკუნებს თუნუქის სახურავზე, ატლასშუნდება დატბორებულ გუბეებში და ღვარად მიედინება დაწიდულ ნიადაგზე.

განა ცამდე მართალი არ იყო ირამი, როცა ამბობდა: „ჩაი მოგვერევაო“. მოდი და ასეთ ამინდში შეასრულე ეს ვადიდებული ვალდებულება, შალვამ რომ აიღო გეგმის ზვით. ბუნებას ხომ ვერ მოერევი. სოფლის მეურნეობაა ეს ბაბა, ფაბრიკა კი არ არის, გადახურულში რომ დგახარ სამუშაოზე... სოფლის მეურნეობაში, ძმაო, ცაზე ხარ დამოკიდებული, ამინდის შემყურე ხარ. ჰო-ჰო! რა სიმსხო წვეთებია, როგორ უნდა გამოვიდეს ხალხი ასეთ ამინდში სამუშაოზე!..

უცებ წვიმის ხმაური შორიდან მომავალი მანქანის ხმამ გაჭკვეთა. მოტორის გუგუნი სწრაფად ახლოვდებოდა.

ეოცა ირამს. ამ დროს ჩვეულებრივ კოლმეურნეობის ხაბარგული ჩამოივლიდა ხოლმე, მეხუთე ბრიგადის მკრეფავები რომ გადაყავდა ნაომარას შორეულ პლანტაციაში. მაგრამ დღეს დილიდანვე შეიკრა ცამ პირი და ამ თავსხმა წვიმაში ვინ წავიდოდა ჩაის საკრეფად? ასე ფიქრობდა ირამი და ვარაუდობდა, ალბათ დილის მატარებელზე მიჰყავს მანქანას ხალხი, ან ქეიფიდან ბრუნდებიან წვეულები ასე ადრიან.

ამ დილით რადიოც კი არ ჩაურთავს ირამს, რომ მარინეს არ გაღვიძებოდა... (გულნაკეკნი იყო თავის ქალიშვილზე, მაგრამ მაინც მის ძილსა და მოსვენებაზე ფიქრობდა). ნეტა როდის დაბრუნდა თათბირიდან?!

მოულოდნელად მანქანა ზედ ირამის ჭიშკართან შეჩერდა. ეტყობოდა, შოფერმა მოტორი ჩააქრო. მანქანის გუგუნი ტაშის ცემამ და საცეკვაო სიმღერამ შესცვალა.

ფრთხილად გამოადო ირამმა ფანჯარა და გაოცებული მაშტერდა მისი ეზოს პირდაპირ შემდგარ საბარგულს. მანქანის ძარა წითელ და ლურჯ გამქვირვალე საწვიმრებში გამოწყობილი ქალიშვილებით იყო გაჭედილი. რამდენიმე ვაჟიც იდგა მანქანის გვერდებს ხელჩაკიდებული. ძარა ძლივს იტევდა მკრეფავებს. მაგრამ ამ ჭიდვაშიც ერთი წყვილი მაინც ხელებს შლიდა და დაეცალა ლამობდა.

— გადაგრიათ ჩემმა გამჩენმა, — უბოროტოდ ჩაიდუდუნა ირამმა. — კაი საცეკვაო ამინდი ამოგიჩრევიათ!

ერთი წუთით მას თითქოს შეშურდა ახალგაზრდების სილაღე და გიჟმაყოთა, ამ პირქუშ ამინდსაც რომ ახალისებდა და აცოცხლებდა.

— მაგრამ ამ ჩემ ჭიშკართან რატომ შეაჩერეს საბარგული? იქნებ რამე გაუფუჭდა მანქანას?

უცებ მარინეს საწოლი ოთახიდან წკაპუნი მოისმა. დიად დარჩენილი შუა კარიდან ელექტროშუქის ვიწრო ზოლი შემოიჭრა ირამის ოთახში.

საწოლიდან ფრთხილად ჩამოსვლის ხმაც მოესმა მოხუცს.

— მარინეც გამოაღვიძა ამ უდროო ვარაიდამ, — გაიფიქრა ირამმა. შვილის შემოსვლის მოლოდინში გარინდდა ირამი... ყურს უგდებს მარინეს ოთახიდან გამომავალ უმცირეს ჩქამს. მაგრამ იმედი არ გაუმართლდა; გაცბუნებულს შემოესმა, თუ როგორ გამოხურა მარინემ აივნის კარი, ჩქარი ნაბიჯით გაირბინა მისი ოთახის წინ და კიბეზე დაეშვა.

ირამმა თვალი შეასწრო, რომ საბარგულის ძარაზე მდგომი ქალიშვილებივით მასაც ცისფერი, გამქვირვალე საწვიმარი ეცვა, პეპლის ფრთას რომ აგონებდა მოხუცს.

თვალი მოჰკრა, რომ მარინეს კალათა გადაკიდა მკლავზე და ამან კიდევ უფრო გააკვირვა. ბოლოს ველარ მოითმინა, აივანზე გაიჭრა და მწყრალად გადასძახა:

— სად მიდიხარ, ქალბატონო, ამ თავსხმა წვიმაში?

— ჩაის საკრეფად! — წუთით შედგა და მამისკენ შემობრუნდა მარინე.

— მერე ასეთ ამინდში?

მარინემ რაღაც უპასუხა, მაგრამ მოხუცმა სიტყვები ვერ გაარჩია, რადგან ამ დროს საყვირის გაბმული ხმა მოისმა.

— მარინე მოდის! — ვაუკაცური ხმით დასჭექა ძარის განაპირას ქალიშვილებში ჩამდგარმა ნაზიკომ. აღტაკეთ ყიჟინა ტალღასავით მოასკდა ქვიტკირის კიბეს, რომელზეც წარბშეჭმუხვნილი ირამი იდგა.

წვიმამ იმატა. გუბეებზე ჭყაპუნით მომავალ მარინეს მანქანიდან სიმღერა შემოაგებეს.

„უუუუნა წვიმა მოვიდა,
დიდი მინდორი დანამა“

წამიწყო ვიღაცამ და ახალგაზრდებმა ერთხმად დააგუგუნეს:

„დანამა, დანამა, დანამა...“

მათ ხმაში ისმოდა გამომწვევი სიჩაუქე, თითქოს ამ ძირგადგმულ წვიმას ბრძოლაში იწვევდნენ.

— კარგი მოგივათ თქვენ, კარგად დაგნამავთ! — გულამღვრეულად ჩაიქნია ხელი ირამმა. — ხომ ვამბობდი, გადარევს ამ ხალხს ჩაი-მეთქი.

* * *

ნამამრას პლანტაციას ზღვა ხალხი შეესია.

ირიბად მოქნეულ წვიმაში ისე შეეკრნენ, თითქოს მორევში შესცურესო. შორიდან რომ გადმოგეხედათ, ოფიქრებდით, ნამამრა კი არა, ნამდვილი ბრძოლის ველიაო. გამომწვევი სიმღერა — „უუუუნა წვიმა მოვიდა“, ირამი რომ აფორიაქა ამ დილით, მთელი დღე გაისმოდა პლანტაციაში. ყოველ წუთს იცლობდა სავსე კალათები. კომკავშირელი ვაუბიც, კრეფას ჭაღლების საქმედ რომ თვლიდნენ და კალათების აკიდებას თაკილობდნენ, დღეს უკლებლივ გამოსულიყვნენ ჩაის საკრეფად. კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი, მუდამ ლოყებფაკალეული ვერიკო, ჯგუფიდან ჯგუფში გადადიოდა. გამჭრალიყო ის შიში და დაეჭვება, ჭიუორს რომ ჩაეთესა გულში. პლანტაციას სულ ემატებოდა და ემატებოდა შემტევი ძალა.

ცოტა გამოდარებული იყო, როცა კოლმეურნეობის მანქანა შემოვიდა პლანტაციაში. მუხათის სკოლის მასწავლებლები და ჩაის ფაბრიკის ტექნოლოგი ირინე სოკოლოვა ჩამოჰყვნენ ხაბარგულს.

ვერიკო შემოეგება ჩამოსულებს.

— მართლაც ქუდზე კაცი გამოვიდა! — იძახდა ის აღტაცებული.

— ყველაფერს მოვერევით, ყველაფერს! — ამბობდა მოხუცი ბასა, ცხრაასხუთი წლის პარტიზანი, რევოლუციის ცოცხალ მატიანეს რომ ეძახდნენ ზემოხეთის რაიონში.

— ძალიან მოგვეყარეთ დღეს ჩაი და ახლა იქნება ჩვენც გაგვიჭირდეს გადამუშავება, — ბრიგადების ბასაგონად განგებ ხმამაღლა წარმოთქვა ირინემ.

— აბა რა გეგონათ, — რაიონულ თათბირზე რომ ამბობდით: მოაშივა მუხათის კოლმეურნეობამ ჩაის ფაბრიკაო, ახლა გვიყურეთ! — გაეხუმრა ტექნოლოგს ბრიგადირი.

— ვნახოთ, ვნახოთ, — შემოსცინა ირინემ ვარდენს.

— აბა, რომელს წამოგიშველოთ? მარინეს? — და ხოკოლოვა გვერდში ამოუდგა ირამის ქალიშვილს.

— დასველდებით, დასველდებით. ბუჩქებს სულ წყალი გასდის, — სცადა მისი შეჩერება მარინემ.

— არაფერია. მინდა ვნახო როგორ იკრიფება წვიმიან ამინდში... ძალიან კი ეკვრის დუყი ხელებს.

— ხომ არ მრჩება!... ა! ხომ არ მრჩება... — მალიმალ მიუბრუნდებოდა ხან მარინეს და ხან ნაზიკოს, — ამიხსენით, გოგონებო! როგორ კრეფთ ასე ხელგასმით? ამდენ დუყს როგორ წვეტთ ერთბაშად? ათივე თითს როგორ ხმარობთ? და კრეფის საიდუმლოების მისაწვდომად ხან ნაზიკოს ამოუდგებოდა გვერდში, ხან მარინეს.

— ამაზე ადვილი რა არის, — კიდევ უფრო გაებადრა ფართო სახე ნაზიკოს, კარგად მოსული ბუჩქი შეარჩია და „სასწავლო“ კრეფას შეუდგა. ირინეხათვის რომ გაეგებინებინა კრეფის ტექნიკის ყოველივე წვრილმანი, ჯერ აუჩქარებლად დაიწყო, მაგრამ მალე შენიშნა, რომ ახსნა-განმარტებაში გართული დანარჩენ მკრეფავებს ჩამორჩა.

— ვაიმე, გამისწრო ყველამ! — შემოიკრა ღაღადაკი ლოყებზე ხელები და მყისვე აუჩქარა. მალე მისთვის ჩვეულ ტემპზე გადავიდა, უფრო და უფრო მოსწრაფებული, სუნთქვაშემკვრელი ხდებოდა მისი თითების მოძრაობის რიტმი.

— ოჰ, ეს პირდაპირ მიუწვდომელია, — აღელვებით იფშვნეტდა ხელებს ირინე, — კაცს თვალი აუჭრელდება.

ამ დროს პლანტაციის კარებში ფრთებშელეწილი პიკაპი შემოოუხუხუხდა. კაბინიდან გადმოხტა კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალვა გოლიაძე — შავგვრემანი, ტანასხეპილი ახალგაზრდა. პლანტაციაში გაფანტულ მკრეფავებს შორის სტუმრები რომ შენიშნა, იმათკენ გაეშურა. მარინეს და ნაზიკოს რგოლთან შეჩერდა. ირინე გაღიმებული შეეგება შალვას, ხელი გაუწოდა. მაგრამ შალვამ ხელები უკან წაიღო, მისალმების ნიშნად მხოლოდ თავი დაუქნია და მაჯის გადასმით უკან გადაიყარა ჩამოლულმაული გრუზა ქოხორი.

შალვას გამოჩენაზე მარინეს და ნაზიკოს სახე გაეხსნათ. მუშაობა არ შეუწყვეტიათ, მაგრამ მთელი მათი გულისყური შალვასა და ირინესაკენ იყო მიპყრობილი.

— რაა, შალვა! ხელს რომ არ გვართმევთ, ხომ არ გვემდურით! — მოგონილი გაოცებით შეეკითხა ირინე.

— არა, როგორ გეკადრებათ! — ხელის გული უჩვენა შალვამ, — აი დახედეთ, სულ მთლად გაზინწლული მაქვს ზეთით და ტალიკი. ვერფრთ ვერ მოვიშორე. სერმაღალადან მოვდივარ. მთელი დღე ვუტრიალებდით ჩაისსაკრეფ მანქანას. წვიმაში კრეფას ცდიდნენ. რამდენჯერმე დავშალეთ და ავაწყეთ მანქანა. ვთქმა მეც ვშველოდი, მოვიგონე, რაც გვისწავლია მექანიზაციის ფაკულტეტზე. ისე გამიტაცა, ველარ მოვწყდი. უსისხლო უნდა იყოს კაცი, ამ საქმემ რომ არ ააღელვოს, — გზნებით წარმოთქვა მან.

— როგორ არის საქმე, ნაზიკო! არ დადნით ამ წვიმაში? — პირველად ამ ვაუკაცური აღნაგობის მკრეფავს მიმართა შალვამ, რომ არავის ეფიქრა — თავის სიყრმის მეგობარს, მარინეს აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებასო; მაინც თანაგრძნობით სავსე მზერა ვერ მოეწყვიტა ირამის ქალიშვილისათვის, რომელსაც აწურულ მხრებზე შემოტმასნოდა სველი ზედატანი.

— რა დაგვადნობს, — თავისებურად მხნედ მიუგო ნაზიკომ. — ამდენი მგონი კარგ ამინდშიც არ მოკრეფილა, კაცი თუ გულით მოინდომებს, ყველაფერს შეასრულებს, — გაიმეორა მან შალვას ნათქვამი გუშინდელ თათბირზე, როცა კომკავშირელებმა გადაწყვეტეს — ეკრიფათ ყოველთვის, დარშიც და ავდარშიც.

მკრეფავები ისევ მიუბრუნდნენ მწკრივებს. ირინე გვერდში ამოუდგა ირამის ქალიშვილს.

— აი, შალვა, მარინეს და ნაზიკოს ვთხოვე ამიხსნან ჩაის კრეფის საიდუმლოება, — მაგრამ ესენი ისე სწრაფად მუშაობენ, რომ კინოაპარატიც ვერ დაიჭერს.

— მართლა ნამდვილი ხელოვნებაა! — გულწრფელი აღტაკებით წამოიძახა ირინემ — ტყუილად კი არ ადარებენ პოეტები ჩაის მკრეფავების ვირტუოზულ მუშაობას პიანისტის თითების მოძრაობას კლავიშებზე. ეს ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება ჩემს სადისერტაციო შრომაში.

— მე მგონია მთავარი თემა ჩვენს სუბტროპიკულ მეურნეობაში დღესდღეობით ჩაის კრეფის და კერძოდ ჩაის სამუშაოთა მექანიზაციაა, — დაფიქრებთ წარმოთქვა შალვამ და ისე შეხედა ირინეს, თითქოს უნდა მისი აღფრთოვანება შეანელოსო. მის ხმაში საკვირველიც კი ისმოდა, მთავარი და არსებითი მხედველობიდან როგორ გამოგრჩაო... ეს თვითონვე იგრძნო და ნათქვამის შერბილება სცადა.

— არა, მე ვაქარბებ. რა თქმა უნდა, ყველა თემა ამ დარგში თავისებურად საინტერესოა, მაგრამ კრეფის მექანიზაცია მაინც მთავარია, — და შალვამ ზურგზვით სავსე თვალები მ

შეწყდა ცეცხლი ჩრდილოეთ ვიეტნამში

ჟენევა, 28 ივლისი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება:

27 ივლისს ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ვიეტნამის სახალხო არმიამ შეასრულა ბრძანება ჩრდილოეთ ვიეტნამის ფრონტის ყველა უბანზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მან განაცხადა, რომ ჩრდილოეთ ვიეტნამის მთელმა სახალხო ჯარებმა ზუსტად შეასრულეს ჩვენი მთავარსარდლის ბრძანება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, და მთლიანად შეწყვიტეს ცეცხლი 27 ივლისს დილის 7 საათზე.

ინდოჩინეთში შეიქმნა ცენტრალური შერეული კომისია

ჟენევა, 28 ივლისი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება:

დაზავების შესახებ ჟენევის თათბირზე ხელმოწერილი შეთანხმებებისა და ტუნგ-ჟიის სამხედრო თათბირის მიერ შეთანხმებული პირობების შესრულების მიზნით შეიქმნა ცენტრალური შერეული კომისია ვიეტნამის სახალხო არმიისა და ინდოჩინეთში საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობათა წარმომადგენლების მონაწილეობით. კომისიას დაეკისრა ამოცანა შეადგინოს დაზავების შესახებ შეთანხმებათა პირობების განხორციელების გეგმა და თვალყური ადევნოს ამ გეგმის შესრულებას.

ცენტრალური შერეული კომისია მუშაობას დაიწყებს 29 ივლისს ტუნგ-ჟიაში (ჩრდილოეთ ვიეტნამი).

ინგლისის პრესა საბჭოთა მთავრობის ნოტის შესახებ

ლონდონი, 28 ივლისი. (საკდესი). „დეილი ჰერალდი" სარედაქციო სტატიაში წერს: „ეშკვალთად თუ რამე ცხადყოფდა იმაზე უფრო მკაფიოდ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა დამოკიდებულებას საერთაშორისო პრობლემებისადმი, ვიდრე ორი მოღვაწის გამოსმაურება უკანასკნელ საბჭოთა ნოტაზე. დალესმა ეს ნოტა უარყო მანამდე, სანამ მას ვაშინგტონში მიიღებდნენ. ეტლიმ თემთა პალატაში მოუწოდა გულდასმით შეისწავლონ ეს დოკუმენტი. მან მოითხოვა, რომ ნოტა დაუყოვნებლივ არ უარყონ და იმედი გამოთქვა, რომ ნოტას შეიძლება მოჰყვეს ახალი თათბირი ევროპის პრობლემების განსახილველად. რატომაც არა? ნუთუ უარი უნდა ვთქვათ ახალ თათბირზე მხოლოდ იმიტომ, რომ წარსულ თათბირებს წარმატება არ ჰქონდა? ეს სასოწარკვეთილების ქადაგებაა. იგი მსოფლიოს უმზადებს უიმედო გამალებულ შეიარაღებას, რაც კატასტროფით დამთავრდება. ბერლინის მარცხის შემდეგ წარმატება იქნა მიღწეული ჟენევაში. ყველა პესიმისტური წინასწარმეტყველების მიუხედავად, მოლაპარაკება ნაყოფიერი აღმოჩნდა. ორივე მხარე დათმობაზე წავიდა, და მოლაპარაკების შედეგს მიესალმება მთელი დედამიწის ხალხთა უდიდესი უმრავლესობა. დასავლეთის სახელმწიფოები საბოლოოდ წერო ტაქტიკურ შეცდომას დაუშვებენ, თუ გადაწყვეტენ, რომ შეიძლება საზოგადოებრიობის ფართო წრეების ასეთი განწყობილების უგულებელყოფა. ამგვარი აზრი დაიბადება ყველგან, თუ საბჭოთა ნოტაზე პასუხი იქნება კატეგორიული „არა". ხოლო თუ საბჭოთა წინადადებები მიუღებელია, მაშინ დასავლეთმა წამოაყენოს შემხვედრი წინადადებანი".

„დეილი მირორი" სარედაქციო სტატიაში იწონებს იდენის განცხადებას იმის შესახებ, რომ „მოლოტოვის მოწოდება დიდი სახელმწიფოების ახალი თათბირის მოწვევის შესახებ გულდასმით შესწავლილ იქნება მოკავშირეებთან კონსულტაციის მსვლელობაში".

შვეიცარიის გაზეთი ფინეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმების შესახებ

სტოკჰოლმი, 29 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „სკონსკა დაგბლადეტი" მოწონავე სტატიაში, რომელიც მიძღვნილია ფინეთისა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო შეთანხმებისადმი, აღნიშნავს, რომ სავაჭრო მოლაპარაკება ფინეთისათვის კეთილსასურველად დამთავრდა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, წერს გაზეთი, რომ ფინეთის ლითონდამუშავებული მრეწველობისათვის რუსეთში ექსპორტის უზრუნველყოფას სასიცოცხლოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. ფინეთის გემთმშენებელი საწარმოებისათვის უზრუნველყოფილია სრული დასაქმება ნომავალი ხუთი წლის პერიოდში.

გაზეთი აღნიშნავს საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის ფართო სავაჭრო გაცვლის საკსებით ბუნებრივ ხასიათს, რაც განპირობებულია ამ ორი ქვეყნის, როგორც უშუალო მეზობლების, გეოგრაფიული მდებარეობით.

ეიზენჰაუერის განცხადება

ნიუ-იორკი, 29 ივლისი. (საკდესი). გუშინ პრეს-კონფერენციაზე პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ, როგორც იგი მოელის, ამერიკის ავიაინსები, რომლებიც გაგზავნილი იყვნენ ჩინეთის კუნძულ ხაინანის რაიონში (როგორც ვიუწყებოდით, სამხედრო თვითმფრინავებმა, რომლებსაც ბაზა ჰქონდათ ამ ავიაინსებზე, ჩამოაგდეს ჩინეთის ორი თვითმფრინავი), დაუყოვნებლივ დატოვებენ ამ რაიონს.

ეიზენჰაუერმა ფაქტიურად აღიარა, რომ ამერიკის მოიერიშე თვითმფრინავთა თავდასხმამ ჩინეთის თვითმფრინავებზე შეშფოთება გამოიწვია დასავლეთის ქვეყნებში, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება დაგმეს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ კორესპონდენტთა ცნობები მოწმობენ შეშფოთებას პარიზში, სადაც მიაჩნიათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ძალიან უგულოდ და წინდაუხედავად მოქმედებდნენ. ჩვენ განზრახული არა გვაქვს ამგვარად ვიმოქმედოთ, თქვა ეიზენჰაუერმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ნინასწარ განზრახული პროვოკაცია

პარიზი, 28 ივლისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო სინგაპურიდან იუწყება, რომ ადგილობრივ საქმიან წრეებში უარყოფით შეფასებას აძლევენ ამერიკის მოქმედებას (იგულისხმება ამერიკის ავიაციის ყაჩაღური თავდასხმა ჩინეთის თვითმფრინავებზე. — **რედ.**). სავაჭრო პალატის ერთ-ერთმა გავლენიანმა წევრმა ეს თავდასხმა შეაფასა როგორც წინასწარ განზრახული პროვოკაცია.

მოსკოვს ჩამოვიდა ფინეთის სეიმის დელეგაცია

28 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა ფინეთის სეიმის დელეგაცია სეიმის თავმჯდომარის კ. ა. ფაგერჰოლმის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან სეიმის დეპუტატები ვ. ვ. კაასალაინენი, ე. ხ. კაიტილა, კ. ა. კლეემოლა, ხ. ე. კუუსინენი, ტ. ე. ნურდსტრემი, ე. ა. ტაინიო, გ. ხენრიგსონი, ო. პ. ხეტემიაკი, ო. ა. ხილტუნენი და სეიმის მდივანი ე. ხ. ა. ტამიო.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, მოსკოვის მწრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები კ. ა. გუბინი, ი. ა. კაიროვი, ზ. ა. ლებედევი, ა. ე. პეტრუშევი, ა. ს. ჩუტკიხი.

დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე ფინეთის საქმეთა დროებითი რწმუნებული სსრ კავშირში რ. ენკელი და მოსკოვში ფინეთის მისიის თანამშრომლები.

კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ვოლკოვმა და სეიმის თავმჯდომარემ კ. ფაგერჰოლმმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

აეროდრომი მორთული იყო სსრ კავშირისა და ფინეთის სახელმწიფო ალმებით. (საკდესი).

იაპონიის პარლამენტის წევრები სსრ კავშირში

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით საბჭოთა კავშირში დაახლოებით ერთ თვეს იყო სტუმრად იაპონიის პარლამენტის წევრთა — საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების სტოკჰოლმის კონფერენციის მონაწილეთა დელეგაცია.

გარდა მოსკოვისა, დელეგაცია იყო ლენინგრადსა და სტალინგრადში. საბჭოთა კავშირის დედაქალაქში იგი გაეცნო მოსკოვის ღირსშესანიშნაობებს, დაათვალიერა კრემლის ისტორიული ძეგლები, იყო სტალინის სახელობის ავტომექანიკურ ნავსადგურში, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში ლენინის გორაზე, თეატრებში, საკონცერტო დარბაზებსა და ქალაქის პარკებში, გაისეირნა მოსკოვის სახელობის არტ-„დინამოს" სტადიონზე სტუმრები დაესწრნენ ფიზკულტურელთა საკავშირო პარადს.

იაპონიის პარლამენტის წევრთა დელეგაცია ბ-ნ ნისიმურა ნობეის მეთაურობით მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ანს. ა. ი. ვიშინსკიმ, აგრეთვე მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. პ. ვოლკოვმა.

მოსკოვში ყოფნის დროს იაპონიის პარლამენტის წევრები იყვნენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკეს იგი.

28 ივლისს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა იაპონიის დელეგაციის წევრთა აქ დარჩენილი ჯგუფი. დელეგაციის ძირითადი ნაწილი რამდენიმე დღით ადრე გაემგზავრა. (საკდესი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია გამოემგზავრა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

პეკინი, 28 ივლისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, გუშინ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწვევით მოსკოვს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნაზე დასასწრებად გაფრინდა ჩინელ დელეგატთა პირველი ჯგუფი 14 კაცის შემადგენლობით. სულ დელეგაციაში შედის 41 კაცი. დელეგაციის მეთაურობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ლი შუ-ჩენი.

ღეიბორისტული პარტიის ეროვნული აღმასკომის სხდომაზე

ლონდონი, 29 ივლისი. (საკდესი). გუშინ გაიმართა ლეიბორისტული პარტიის ეროვნული აღმასკომის სხდომა, რომელზეც, მრავალი გაზეთის პოლიტიკურ მიმომხილველთა წინასწარმეტყველების მიუხედავად, არ მიუღიათ არავითარი დისციპლინარული ღონისძიებანი ბევანისა და პარლამენტის რამდენიმე ლეიბორისტი წევრის წინააღმდეგ, რომლებმაც ამას წინათ გამოუშვეს ბროშურა სათაურით „ეს არ უნდა მოხდეს. გერმანიის ხელახალი შეიარაღების ალტერნატივა". ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ლეიბორისტულ პარტიაში მოძრაობა გერმანიის ხელახალი შეიარაღებისათვის მზარდაჭერის ოფიციალური პოლიტიკის წინააღმდეგ იმდენად ძლიერია, რომ პარტიის ხელმძღვანელობა იძულებულია ანგარიში გაუწიოს მას.

მიუხედავად იმისა, რომ აღმასკომმა აკრძალა ოფიციალური პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ყოველგვარი ორგანიზებული საჯაროო გამოცხადება, აღმასკომის 28 ივლისის სხდომაზე, რომელიც სამ საათს გრძელდებოდა, მარტო ათი წუთი დაეთმო ბევანელთა ჯგუფის ბროშურას, რომელიც შეიცავს ძტკიცე გალაშქრებას გერმანიის ხელახალი შეიარაღების წინააღმდეგ. პრეს ასოციეიშნის საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტის სიტყვით, დისციპლინარულ ღონისძიებათა საკითხზე არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

უნგრეთში წყალდიდობის გამო

ბუდაპეშტი, 28 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, წყალი დუნაიზე კვლავ კლებულობს. ქალაქ მოჰაჩთან (სამხრეთ-უნგრეთი) გუშინ წყლის დონემ 14 სანტიმეტრით დაიკლო. დუნაიზე ნაოსნობა განახლდა. მთავრობამ დიდი თანხები გაიღო წყალდიდობისგან დაზარალებული პირების დასახმარებლად. გარდა ამისა, მთელ უნგრეთში აგროვებენ ფულს, სურსათსა და ტანსაცმელს დაზარალებულთა დახმარების ფონდისათვის.

სპორტის ამბები

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა" კლასი

მინსკი. 29 ივლისი. „დინამოს" სტადიონზე გაიმართა საბჭოთა კავშირის XVI ჩემპიონატის ეორიგი ასპარეზობა ფეხბურთში. თამაშობდნენ მინსკის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით 3:2.

ლენინგრადი. 29 ივლისი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე დედაქალაქის ტორპედოელები შეხვდნენ ლენინგრადის „ზენიტს". 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა „ზენიტის" გამარჯვებით 2:0.

დღეისათვის გათამაშების ცხრილის პირველ სამეულში არიან: მოსკოვის „დინამო", მინსკის „სპარტაკი" და მოსკოვის „სპარტაკი".

„ბ" კლასი

„ბ" კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების ქვეჯგუფებში ასპარეზობა მიმდინარეობს ფინალში მონაწილე 6 გუნდის გამოსაცალინებლად. გუნდების უმრავლესობას დღეისათვის ჩატარებული აქვს 15 თამაში, ზოგიერთს 16 შეხვედრა.

პირველ ქვეჯგუფში ლიდერია ალმა-ატის „ლოკომოტივი", რომელსაც 16 თამაშიდან შეგროვებული აქვს 24 ქულა. მეორე ადგილზეა ერევნის „სპარტაკი" (14 თამაშიდან 23 ქულა), მესამეზე — ბაქოს „ნეფტიანიკი" (12 თამაშიდან 18 ქულა), მეოთხეზე — თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდი (14 თამაშიდან 17 ქულა), მეხუთეზე — სვერდლოვსკის „ავანგარდი" (14 თამაშიდან 15 ქულა).

მეორე ქვეჯგუფში წარმატებით იბრძვის მოსკოვის „ხიმკი", რომელიც 15 თამაშიდან შეგროვებული 23 ქულით პირველ ადგილზეა. მეორე ადგილზეა მოსკოვის „ზენიტი" (15 თამაშიდან 21 ქულა), მესამეზე — ვილნიუსის „სპარტაკი" (15 თამაშიდან 19 ქულა).

მესამე ქვეჯგუფში 14 თამაშიდან შეგროვებული 23 ქულით პირველ ადგილზეა სტალინის „შახტიორი", მეორეზე — დონის როსტოვის „ტორპედო" (15 თამაშიდან 20 ქულა), მესამეზე — უფროროდის „სპარტაკი" (14 თამაშიდან 20 ქულა).

დინამოელ კალათბურთელთა შეჯიბრება

ლვოვი. 29 ივლისი. სასპორტო საზოგადოება „დინამო" ყოველწლიურად აწყობს უძლიერესთა შეხვედრებს კალათბურთში ამავე საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობაზე. ეს შეჯიბრება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს, რადგან მასში მონაწილეობას იღებენ უძლიერესი კოლექტივები — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თასის არაერთგზის მფლობელი თბილისის „დინამოს" კალათბურთელ ვაჟთა გუნდი, მოსკოვის, რიგის, ტალინის, ბაქოსა და სხვა გუნდები.

„დინამოს" 1954 წლის ჩემპიონატი მიმდინარეობს ლვოვში. ამ შეჯიბრებაში წარმატებით იბრძვიან თბილისელი კალათბურთელები. რომლებმაც სამი შეხვედრიდან სამივე მოიგეს. პირველ მატჩში თბილისელებმა დაამარცხეს ტალინის გუნდი, 26 ივლისს მოუგეს ბაქოს გუნდს 70:45, 27 ივლისს — რიგის კალათბურთელებს ანგარიშით 69:43.

საქართველოს მოფარიკავეთა გამარჯვება

კიშინიოვი. 29 ივლისი. აქ სამ დღეს გრძელდებოდა მიზნად მოფარიკავეთა ნაკრები კოლექტივების საკავშირო გუნდური ასპარეზობა. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ლენინგრადის და მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრებმა გუნდებმა. ახალგაზრდობის დახელოვნების მიზნით შეხვედრებში კონკურსგარეშე მონაწილეობდა აგრეთვე საბჭოთა კავშირის მოფარიკავეთა ნაკრები გუნდი, რომლის რიგებში იყვნენ ცნობილი სპორტსმენები ნ. შიტიკოვა, ვ. ვიშპოოლსკი, ბ. მიდლერი, ი. უდრასი და სხვ.

საქართველოს მოფარიკავეთა გუნდმა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა ყველა შეხვედრა და პირველი ადგილი დაიკავა. 28 ივლისიდან დაიწყო პირადი პირველობის გათამაშება. დღეს გაიმართება უკანასკნელი კალენდარული შეხვედრები.

თბილისი

პოლიგრაფიულ ნაწარმოებთა ბეჭდვა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობისა და წიგნით ვაჭრობის მთავარი სამმართველოს ორწლიანმა პოლიგრაფიულმა სკოლამ გამოუშვა 46 ახალგაზრდა კვალიფიციური ასოთამწყობი (ლინოტიპისტი და ხელითამწყობი) და მბეჭდავი. მათმა უმრავლესობამ კურსი დამთავრა „კარგზე" და „ფრიადზე". კურსდამთავრებულნი იმუშავებენ რესპუბლიკის სტამბებში.

ამჟამად პოლიგრაფიული სკოლა იღებს მსმენელთა ახალ ნაკადს 50 კაცის რაოდენობით.

შეხვედრა კინოკომედია „ჭრიჭინას" მონაწილეებთან

თბილისის საორთქლმავლო დეპოს ნუშათა კლუბში გაიმართა დეპოელთა თვითმოქმედი ოპერეტალური კოლექტივის შეხვედრა კინომსახიობთან, რომლებიც თამაშობენ კინოფილმ „ჭრიჭინაში".

კინოსურათ „ჭრიჭინას" დემონსტრაციის შემდეგ თავიანთი შთაბეჭდილებებით გაზიარეს დეპოს კოლექტივის წევრები. ახალგაზრდა მუშებმა მოსთხოვეს კინომსახიობებს შექმნან ახალი ნაწარმოებები, რომლებშიც ასახავენ ლენინური კომკავშირის აღმშრდელობითს როლს, აჩვენებენ საბჭოთა ახალგაზრდობის შემოქმედებითს შრომას მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში.

დასასრულ გამოვიდნენ მსახიობი ლეილა აბაშიძე, რომელიც ფილმში ასრულებს მარინეს (ჭრიჭინას) როლს, და დამდგმელი რეჟისორი ს. დოლიძე.

მეგობრობისა და გართობის საღამო

დაუღალავ შრომასთან ერთად კულტურულად და შინაარსიანად ისვენებენ თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშა-მოსამსახურეები. ამ დღეებში აქ გაიმართა ახალგაზრდობის მეგობრობისა და გართობის საღამო.

საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა კომბინატის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა ე. ლეფსკაიამ. კეთილმოწყობილ სასპორტო მოედნებზე გაიმართა სპორტული შეჯიბრებები ფრენბურთში, ნაგიდის ჩოგბურთში, სპორტულ ტანვარჯიშში და სხვ. ცეკვებს ცვლიდა სხვადასხვა სახის გასართობი. დასასრულ კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობით გაიმართა მხატვრული თვითშემოქმედების კონცერტი.

კურორტ წყნეთში

თბილისის საგარეუბნო კურორტ წყნეთის ზოდის დიდი პერსპექტივები აქვს, მოკლე ხანში იგი გადაიქცევა თბილისელთა ჯანმრთელობის საუკეთესო კერად. უკვე წელს აქ გათვალისწინებულია ბევრი ახალი შენობის აგება.

მიწის დიდი ნაკვეთი წყნეთში გამოეყო თბილისის კამოლ-მაუდის კომბინატს საბავშვო ბაღის, ბაგისა და სხვ. ასაგებად. ნაკვეთი მიიღო აგრეთვე ტრესტმა „ავტოტრანსმშენმა" თავისი სისტემის მუშაკთა დასასვენებელი სახლის ასაშენებლად. ლამაზ მიდამოში იწყებს აგარაკების მშენებლობას საქართველოს სამეცნიერო-საკვლევი სავეტერინარო ინსტიტუტი და სხვ.

დ. მ. მშვენიერაძე—ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

დოცენტმა დ. მ. მშვენიერაძემ საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „სამშენებლო საქმე ძველ საქართველოში".

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დამტკიცა დ. მ. მშვენიერაძისათვის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭება და მიაკუთვნა მას პროფესორის წოდება.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურგაიკიძე.

საქართველოს სსრ სარეწაო საბჭოსთან არსებული მცხეთის კერამიკული სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1954-55 სასწავლო წლისათვის შემდეგ განყოფილებებზე: ა) მხატვრული კერამიკა, ბ) სამშენებლო კერამიკა.

სკოლაში მიიღებიან 14-17 წლის ასაკის ორივე სქესის მოქალაქენი, რომლებსაც განათლება აქვთ არანაკლებ რვა კლასისა. შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ ქართულ ენასა და არითმეტიკაში. უგამოცდოდ ჩაირიცხებიან მხატვრული კერამიკის განყოფილებაზე შემსვლელი ფრიადოსნები. ფრიადოსნებიც აბარებენ დამატებითს გამოცდას ხატვაში. გამოცდები იწარმოებს 25 აგვისტოდან.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა, ავტობიოგრაფია, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, სამი ფოტოსურათი 3×4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

გამოცდების პერიოდში მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით 150 მან. რაოდენობით, ბინით, სპეციტანსაცმლით და სასწავლო და საყოფაცხოვრებო ინვენტარით.

შენიშვნა: სამამულო ომში დაღუპულთა, სამამულო ომის ინვალიდთა შვილები, აგრეთვე ობლები და საბავშვო სახლის აღზრდილები დამატებით უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით და ტანსაცმლით.

საბუთების გადმოგზავნა შეიძლება ფოსტით.

მისამართი: მცხეთა, კერამიკული სკოლა.

მოქალაქე კიმოთე იაკობის-ძე გოგობერიშვილმა, მცხოვრებმა ენგელსის ქ. № 37, აღძრა საქმე რუსთაველის პროსპექტზე № 21 მცხოვრებ მოქალაქე მარიამ ლევის ასულ გოგობერიშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს კალინინის სახელობის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე დიმიტრი ივანეს-ძე ბოკერიამ, მცხოვრებმა ქ. თაუზში (აზერბაიჯანის სსრ) სადგურის ქ. № 21, აღძრა საქმე ქ. თბილისში გოგოლის ქ. № 61 მცხოვრებ მოქალაქე ნინო არჩილის ასულ ხერხეულიძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის №-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მზია, გიორგი, არჩილ, ლევან ჭოლოშვილები იუწყებიან მამის და პაპის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის გარდაცვალებას.

მეუღლე გალინა. შვილები ნინო, პეტრე, ოთარ, ძმები არჩილ, გრიშა, ვასო, სიმონ, პავლე ოჯახებით იუწყებიან დავით ბესარიონის-ძე ყიფიანის გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-VIII, 5 ს. სოფ. ღვანკოთში (თერჯოლის რ.).

საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს დირექცია პარტიულ და პროფკავშირული ორგანიზაციები იუწყებიან ელენე ივანეს ასულ ჩერქეზიშვილის გარდაცვალებას.

მეუღლე ნინო. შვილი, მამია, ძმა ირაკლი, რძალი ლეილა, შვილიშვილები, ბიძაშვილები და ძმისწული ჭეჭიკო ოჯახებით იუწყებიან რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, პოლონ მიხეილის-ძე ჭანკოტაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-VIII სოფ. თვრინში (ზესტაფონის რ.).

შვილები ქარლოს, გურამ ედიშერ-შვილები, და თამარ აბაშიძე შვილებით, ძმები გრიგოლ, ნიკოლოზ შოთა ვასაძეები ოჯახებით იუწყებიან ეკატერინე ექვთიმეს ასულ ვასაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-VII, 8 ს. გამოსვენება 1-VIII, 4 ს. ძერძინსკის ქ. № 6.

ღ ი ღ ი ტ ა ღ ღ ა

(დასასრული)

გამოეჯავრებინა თავისი სათაყვანებელი მამა, რომელსაც ყოველთვის ბრძენს და „ქვეყნის უკეთესს" ეძახდა.

შალვამაც იგრძნო მარინეს გულისთქმა და ერთ წუთს უხერხულმა ღიმილმა გადაუარა სახეზე, მაგრამ მალე მოერია თავის თავს:

— შენ გგონია მთლად უსაფუძვლოა ეორამის ფიქრი და ზრუნვა? განს ჩვენ არ გვაწუხებს იმაზე ფიქრი, თუ როგორ „მოვერიოთ" ამ ჩაის პლანტაციებს, წლითიწლობით რომ იზრდება და ფართოვდება?

— ჩვენი ხალხი არავითარ დაბრკოლებას არ შეეპუება. განა ადვილი იყო ახალგაზრდების ეს პატრიოტული თაოსნობა, რომ დღეს წვიმაში გამოსულიყვნენ სამუშაოდ!

მაგრამ მათ იციან, რომ ყველაფერი, რაც ჩვენში კეთდება, ადამიანის ბედნიერებისა და სიხარულისათვის კეთდება. პარტია და მთავრობა იმისათვის იბრძვიან, რომ რაც შეიძლება შემსუბუქდეს ადამიანის შრომა.

— დღეს ბიბლიაში ქადაგად დავვარდი, — გაიღიმა შალვამ — ალბათ ჩაის კრეფაზე უფრო დაგდალათ ჩემმა ლაპარაკმა, მაგრამ მაინც არ შემიძლია არ გითხრათ, არ გაგიზიაროთ, რაც ვიგრძენი და განვიცადე დღეს სერმაღალაზე.

— რას ამბობ, შალვა, — წამოიძახა ბასამ, — აგი კაი აგიტსემინარიიასავით გამოდის. კაი ხარ შენ, კაი. კაი ღარღილი გაქვს, თორემ ზოგი ისე მოსაწყენად ლაპარაკობს, ხის ქვეშ რომ დააყენო, — გაიბმობს.

ბანმოკლე, საშუადღეო შესვენება დაიწყო. კოლმეურნეებმა ბოხჩები გახსნეს, სახადილოდ მოემზადნენ. მაგრამ როცა გაიგეს, რომ შალვა აპირებდა ჩაის საკრეფი მანქანის შესახებ ეამბნა, ყველა მან გარშემო შემოიჯარა.

— ნაზიკომ რომ გაიუმჯობესა კრეფის ტექნიკა — განაგრძო შალვამ, — ათივე თითებით რომ დაიწყო კრეფა, ყველა გაკვირვებული ამბობდა: ირდაპირ მანქანა აქვს ხელებშიო. დღესაც ხომ ნახეთ, რა აღტაცებული იყო ჩვენი სტუმარი, დიდი ოსტატობაა, ნამდვილი ხელოვნებაოო... მაგრამ თქვენ რომ ყოფილიყავით დღეს სერმაღალაზე, რომ დასწრებოდით ჩაის საკრეფი მანქანის გამოცდას, გენახათ, როგორ მოედინება მექანიკური თითებით მოკრეფილი ჩაის ფოთოლი ღარზე. როგორ სწრაფად ივსება ბუნკერი. განცვიფრდებოდით, ეს მანქანა ღამითაც მშვენივრად კრეფს. დილითაც, როცა ნამი წელამდე ასვლიტს მკრეფავს. სამ ცვლად შეიძლება მუშაობა * ის სასხლავადაც გამოდგება, კულტივაციათვისაც, სასუქის შესატანადაც. ლაო ჩაის საკრეფად პირდაპირ მისწრებაა. წარმოგიდგენიათ, როგორ შეამსუბუქებს ეს ადამიანის შრომას?!

— ოჰ! ეგ საქმე რომ გამოვიდოდეს, პირდაპირ საიხტორიო ამბავი იქნება, — წარმოთქვა ბასამ, — თუ კი ისე მოკრეფს, როგორც ხელით იკრიფება, მაგრამ ამბობენ ჯერ ბევრი „ზაბაკი" აქვსო.

— რასაკვირველია, არც მე ვარ ბრმად აღფრთოვანებული, არც იმ აზრის ვიზიარებ, ზოგიერთმა რომ გამოთქვა: წლევანდელი წელი ჩაის კულტურის ისტორიაში შევა, როგორც მექანიკური კრეფის დასაბამიო. ჯერ მანქანას ბევრი ნაკლი აქვს. მოლიანად ვერ იღებს ბუჩქზე შემოსულ ყველა დუყს. გადაუხეშებულ ფოთოლსაც ატანს, გამმარსაც. ნაკრეფს გადარჩევა სჭირდება; საჭიროა გადარჩევის მექანიზაცია. ჯერ ხელით არჩევენ და გადარჩევაც ძალიან ცუდად არის მოწყობილი, თორემ თუ ხელით მოიკრიფება პირველი ხარისხის ფოთოლი, გადარჩევა განა უფრო ადვილი არ არის? ამიტომ არ გამოდის საკმაო პირველი ხარისხის ფოთოლი; ჯერ კიდევ ბევრი გაუმჯობესებაა საჭირო, მაგრამ მანქანით კრეფა როგორ წაგვეგვიტ წინ, როგორ გააადვილებს შრომას! პარტია, მთავრობა არაფერს ზოგავს ამ მანქანის შესაქმნელად და ეს დიდ სახალხო საქმედ უნდა იქცეს. მთელი ჩვენი მეცნიერული აზრი უნდა დაირაზმოს ამ პრობლემის გადასაჭრელად. ჩვენს მეცნიერებათა აკადემიას, ინსტიტუტებს განა ცოტა რამის გაკეთება შეუძლიათ ამ დარგში? ზოგს რად წავიდეთ, ჩაის და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტი განა უფრო მეტად არ უნდა იყოს ჩაბმული ამ მუშაობაში? ყველამ ვისაც კი რამე შეუძლია, თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ამ საქმეში.

— ახეთი იყო მუდამ პარტიის აზრი, — კვერი დაუკრა ბასამ — ცხრაას ხუთში ასე ვმღეროდით:

„გაუმარჯოს ერთობასო, ხელში მოგცემს ხელთოფასო!" ახლა პარტია შესანიშნავი ტექნიკით გვაიარაღებს. მე ასე ვიტყოდი: „გაუმარჯოს ამ ხანასო, ხელში გვაძლევს მანქანასო".

— რა კარგად გამოხატე! ძველია ბასა, ძველი. ლექსის ამოღებაც კი იცის.

— ეს მე კი არ გამოვხატე, ეს პარტიის დაძახილია. ახა ამდენი ყამირი და გაუტეხავი მიწის გადაბრუნებას ხელით კი არ აპირებს პარტია.

— შეიძლება ჩვენშიც ბევრს თვალითაც არ უნახავს ჩაის ბუჩქი, — განაგრძო შალვამ, — შეიძლება ბევრმა კარგად არც კი იცის, თუ როგორ მზადდება გამხმარი ჩაი, მაგრამ ვეკვეთ რომ იყოს ადამიანი, რომელსაც ჩაის კრეფის მექანიზაციის საკითხი არ აღელვებდეს. ჩვენ კი ამ ჩაიში ვტრიალებთ, ეს არის ჩვენი მთავარი საზრუნავი. ჩვენ უნდა ვიყოთ ამ საქმის თავი და